140/1987/2

ISSN 01[illegible] — 5973



# პიონერი

5
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალ სკოლაშიც ერთ კლასში მოხვდნენ მადონა ქალდანი და მიხეილ ნავერიანი.

# ჭირიცა და ლხინიც ერთი...

ნინო ხარაზიშვილი

წლეულს ძალიან გაიტეხა პირი ბუნებამ — გაჭირვეულდა, გაჭინჭყლდა. მოძალებულმა ზვავებმა დიდთოვლობის სიხარული დაუკარგა მთელი მაღალმთიანი საქართველოს ბალღებს. მაგრამ, ვაი, რომ მხოლოდ ამ სიხარულის წართმევა არ იკმარა. უბედურებით დაამძიმა ათობით ოჯახი, დაობლდნენ ბავშვები.

ტკივილი.... საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ტრავმირებული ადამიანისათვის იგი თითქოს ყოველწამს ახლდება. ამიტომ არის, რომ დღეს საქართველო მათ მარტო არ ტოვებს.

●

ივანე ნავერიანი მეხუთეკლასელი ბიჭია. ლამაზი სახისა, ტანადი. ძალზე პირდაპირი ჩანს, გულწრფელი, სიტყვაძვირი. პირველი მოჩხუბარიაო... მოჩხუბრობისა აქ რა მოგახსენოთ, მაგრამ სვანეთში, ჭოლაშის სკოლაში ამ საქმეში ვერავინ სჯობდაო...

უხდება ახალი ქურთუკი, ასაკსაც მატებს. ეს ქურთუკები მას და მის მესტიელ მეგობრებს თავიანთი შრომით გამომუშავებული თანხით მარნეულელმა თანატოლებმა უყიდეს. რომ იცოდეთ, რა სიხარულის დღე იყო ის დღე, ქურთუკები რომ მოუტანეს. ხელად დადგა რიგი. ერთი სული ჰქონდათ, როდის მოირგებდნენ, ამხანაგებს როდის დაენახვებოდნენ...

ამ ცოტა ხნის წინათ ორჯონიკიძის რაიონიდან მიიღო წერილი ივანემ. ბავშვები სწერდნენ. თანაგრძნობამ გული გაუთბო. მიპატიჟებამაც გაახარა. საღამოს, სკოლიდან დაბრუნებულმა თავის არჩილ ბიძიას მიაბარა ძვირფასი სახსოვარი. იცის, მამის მაგიერი მისას ყველაფერს მოუფრთხილდება.

ამ პატარა ბიჭის გადარჩენის ამბავი სასწაულივით აღიქვეს მთელ საქართველოში. შვიდი სული დაიღუპა ნავერიანების დიდ ოჯახში. მხოლოდ ორი ვაჟი გადარჩა — უფროსი, რაღაც ბედად, იმ დღეს შორს წასული, და ივანე, რომელიც დაბ-



უკვე მარინე ხელმძღვანელის შეყვარება მოუსწრიათ ახალ მოსწავლეებს.

14072
1987
№5
ბიბლიოთეკა

რუნებულ ძმას საკუთარი ხელით ამოუთხრია თოვლში ჩაჩუმქრული, ძლივსღა მფეთქავი, გახეთქილი ღვიძლით...

მესტიის საავადმყოფოში გაკეთდა რისკიანი ოპერაცია. სიცოცხლე გადარჩა. მკურნალ ექიმებს კი უზარმაზარ შთაბეჭდილებად დარჩათ პატარა სვანის საოცარი მოთმინება, „ვაის“ წამოუძახებლად გადატანილი ამოდენა ტკივილი...

მარნეულის ქართულ სკოლაში ახალი მეგობარიც გაუჩენია ივანეს— გია შუკაკიძე, მისივე თანაკლასელი, ჭკვიანი, მეცადინი ბიჭი. ივანე მასზე აღფრთოვანებით მიყვება. ერთ მერხზე ხომ სხედან და სხედან, კვირა-უქმეებსაც სულ ერთად ატარებენ... მულახიდან ჩამოყოლილ თანაკლასელებსაც მაცნობს ივანე — ბარონ ნავერიანს, მუხრან ქალდანს, ელისო ქალდანს, ვასილ და შადურ მარგიანებს... კახა გუჯეჯიანსა და ერეკლე ნავერიანს თავიანთ სოფლებში უკვე გავარდნილი ჰქონიათ კარგი ძიუდოისტების სახელი. აქაც, მარნეულში ჩამოსვლისთანავე სპორტულ სკოლას მიაკითხეს თურმე. მათთვის საინტერესო სექცია რომ ვერ უნახავთ, ჩვენ გავხსნით ძიუდოს სექტორსო, სამსახური შეუთავაზებიათ მასპინძლებისთვის. ცოტაც და, ამ საქმესაც დასძრავენ. სექციაში გაერთიანების მსურველ



გაკვეთილებზე ხომ სულ ერთად არიან გია და ივანე, უქმეებსაც ერთად ატარებენ.

●

საოცარი ხალხი ყოფილა ეს სვანები, სულ დარჩეული სპორტსმენები არიან, იშვიათია კაცი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომი რომ არ ედოს ჯიბეშიო, გვითხრეს მარნეულელებმა. გვიხარია ასეთი ჯანსაღი ადამიანების, ვაჟკაცური ბუნების ხალხის შემომატება, ალბათ ახლა ჩვენს რაიონში სპორტიც დაწინაურდებაო...

მართალი გამოდგა. ვისაც იმ დღეს გამოველაპარაკეთ, ყველა მოყვარული მთამსვლელი იყო, ან მონადირე ან სპორტის სხვა რაიმე სახეობის მიმდევარი...

ორ მეცხრეკლასელ ბიჭზე გვიამბიჭებს კი ძებნაც არ სჭირდებათ... ჯერ მარტო მათთან ერთად ჩამოსულ სვან ბიჭებში რამდენია ძიუდოს მალული ტრფიალი.

ინტერესთა ამგვარი გამომჟღავნება კი იმას ნიშნავს, რომ უკვე მარნეულის მკვიდრად გრძნობს თავს თებერვლის იმ ორ დაუვიწყარ დღეს აქ ჩამოხიზნული 79 სვანური ოჯახი. მათი მისამართები მარტო ქალაქმა კი არა, მთელმა რაიონმა იცის. ლენინისა და სვერდლოვის ქუჩებზე აღმართულ ამ ახალ კორპუსებს ყველა მიგასწავლით.

თუ ეწვევით, შეგხვდებიან ცუდად დაფარული მღელვარებით, უმისამართო მადლობებით ყველა ადამიანისადმი, ვისაც მათზე ფიქრსა და წუხილში თუნდაც ერთი წუთი გაუტარებია.

ავეჯით გაწყობილი ნათელი ოთახები, ჭურჭლითა და მთელი კვირის სურსათ-სანოვაგით სავსე სამზარეულოები — ეს მარტო მათი პირველი შთაბეჭდილება როდია, ესეც ნაწილია იმ სითბოსი და ყურადღებისა, რითაც დახვდა რაიონი გასაჭირში ჩავარდნილ ამ ადამიანებს.

ეს ყურადღება დღემდე წუთითაც არ ნელდება. ყველაფერი დროულად კეთდება — სამედიცინო-პროფილაქტიკური დათვალიერებაც და სურსათ-სანოვაგის ახალი პარტიის მოწოდებაც. სტიქიისგან დაზარალებულთა დახმარების საქალაქო შტაბმა, რომელსაც მარნეულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზინაიდა იმანოვა ხელმძღვანელობს, ყველაფერი გააკეთა ჩამოსახლებულთა საყოფაცხოვრებო-კულტურული პირობების შექმნისა და შრომითი მოწყობისთვის, მათი მატერიალური დახმარებისათვის. თითოეულ ოჯახს შეფობს ქალაქისა და რაიონის კონკრეტული ორგანიზაცია, დაზარალებულთა არც ერთი თხოვნა უყურადღებოდ არ რჩება.

და კიდევ ერთი — ქალაქის კომ-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის
1926
წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა 5 მაისი 1987

კავშირელებმა მე-700 ანგარიშზე გადარიცხეს შაბათობებზე გამომუშავებული 11.000 მანეთი. საქალაქო შტაბის შუამდგომლობით, ამ თანხის ერთი ნაწილი რაიონში ჩასახლებულ სვანთა ოჯახებს მოხმარდება.

ესეც გავიგეთ: რაიონის ულამაზეს სოფელში — წერაქვში 40 სახლის ჩადგმა და დაზარალებულთა იქ დამკვიდრება გადაუწყვეტია მარნეულის ხელმძღვანელობას... სულ ცოტა ხანიც და აღორძინებულ ძველისძველ წერაქვში თავისებური პატარა სვანეთი აღმოცენდება...

●

მარნეულის შოთა რუსთაველის სახელობის ქართულ სკოლას 64 ახალი მოსწავლე ჰყავს. სწორედ ისინი, ვისაც კომკავშირის მარნეულის ქალაქკომმა საჩუქრად გადასცა კომკავშირელთა პირადი სახსრებიდან შეგროვებული 700 მანეთით შეძენილი სასწავლო ნივთები...

ნორჩი სტუმრების საბოლოოდ დამკვიდრებამ კიდევ უფრო საინტერესო გახადა სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, ამას წინათ სვან ბავშვებთან და მათ მშობლებთან შეხვედრის საღამო ჩაატარეს — ძალზე ლამაზი პოეზიის საღამო. ახლშემომატებულ მოსწავლეებს შორისაც ბევრი ყოფილა პოეზიის მოყვარული. უფროსკლასელებმა მარინე გუჯეჯიანმა, ინეზა ქურდიანმა, ქეთინო დევდარიანმა და ლანა მარგიანმა შესანიშნავად წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები, გოგონებს მხატვრულ კითხვაში არც მეშვიდეკლასელი ლევან მარგიანი ჩამორჩა... მშობლებმაც და მასწავლებლებმაც ისიამოვნეს. ერთი სიამოვნება მარტო ჩვენს ახალ მოსწავლეთა მშობლებთან გაცნობა და სკოლასთან მათი დაახლოება იყოო, გვარწმუნებს სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნათელა შეყლაშვილი, უხარია, ალბათ, ახლა უფრო თამამად და ხშირად შემოგვილებენ კარსო...

გავიდა ერთი-ორი კვირა და ახლა გონებამახვილთა და საზრიანთა კლუბის წევრთა მორიგი ასპარეზობა ჩაატარეს. ამჟამად მათემატიკური ვიქტორინისთვის ემზადებიან. ჰო, მართლა, ჩვენი წელანდელი ნაცნობი მეხუთეკლასელი ივანე ნავერიანიც ხომ მათემატიკის მოყვარულია! მარინე მასწავლებელი ალბათ მეც მიმალებინებს მონაწილეობას ვიქტორინაშიო, იმედოვნებს.

ასე ეჩვევიან ახალ სკოლასა და გარემოს, მათი ადამიანური თვისებების სხვათაგან ხელახლა დანახვას და დაფასებას. უხარიათ სკოლაში წასვლა. მოსწონთ ყოველ ცისმარე დღეს სკოლის გზაზე მარნეულის უკვე ნაცნობ ქუჩებში სიარული.

სკოლის დირექტორის კაბინეტში კი იშვიათად როდი ხვდებათ სასიამოვნო სიურპრიზი. აი, დღესაც ორჯონიკიძის რაიონის ხიდრის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელთაგან მიღებული ამანათი დახვდათ, ცოტა უფრო ადრე კი — პირდაპირ სკოლის მომცრო ეზოში შემოგრიალებული დამტვერილი სატვირთო მანქანა — კასპის მე-2 საშუალო სკოლის, ამავე რაიონის დუისის საშუალო, წინარეხისა და ოკამის რვაწლიანი სკოლების პიონერების მიერ შეგროვილი, მათი ბებიებისა და დედების ნახელავი კონსერვებით, კომპოტებით, ჩურჩხელებით, ტკბილეულით და ლობიოთი პირთამდე დატვირთული...

მკვიდრდებიან მარნეულში სვანები — ყორყოლიანები და დადვანები, ქალდანები და მარგიანები, ნავერიანები და გუჯეჯიანები, პირველები და ქურდიანები... მეტი წილი — რამდენიმეშვილიანი ოჯახი... უფრო მოზრდილები ქართულ სკოლაში დადიით, სკოლამდელები — ქალაქის საბავშვო ბაღში. ოღონდ ესაა, უცხოობენ ბაღის რუსულ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში ყოფნას ჯერ ქართულადაც ენაგაუტეხავი პატარები, მათთვის სპეციალურად ქართული ჯგუფის გახსნა იქნება საჭირო.

დრო საუკეთესო მკურნალიაო, — უთქვამთ ძველებს. ამ ოჯახებმა იციან, გავა დრო და დღევანდელი უბედურებით მოგვრილი ეს დიდი სიმძიმილიც მას გაჰყვება. ეს ჩვენც ვიცით. იქამდე კი... ისევე, როგორც მათი უბედურების პირველ დღეებში, მთელმა საქართველომ უნდა დაითითოოს მათი გასაჭირი და მწუხარება, გაზიარებული ჭირისაც ხომ უთქვამს ჩვენს ხალხს, განახევრებული ჭირიაო.



**პიონერთა ოთახშიც ხშირად ხვდებათ ასეთი სასიამოვნო სიურპრიზი...**

**დ. იაკობაშვილის ფოტო**

# შავი ორშაბათი

ელგუჯა
მერაბიშვილი



მხატვარი კარლო ფაჩულია

მოთხრობა

— წადი, შეაყოლე, სანამ დროა, — ამრეზილად შეხედა იამ.

— რა ხასიათზე ხარ... ჰო, მართლა, ვინ დაწერა უსახელო წერილი?.. შენ დაგიწერეს? — ბენო აცაბაცა დაატარებდა თვალებს.

— შენი საქმე არ არის, — ირაკლი შედგა და აცალა, როდის წავიდოდა ეს არამკითხე.

— ეგ თუ ციცო იასამანოვას დაწერილი არ იყოს, კბილებში მომჭერი თავი, — ბენომ საჩვენებელი თითი გაისვა კბილების გასწვრივ. — გახსოვს, მაგის ბიძას ვილაცა თავის ნათესავისთვის რომ საბუთის გაკეთება უნდოდა და შენ არ დაუთმე? ყველაფერს იხსომებს ხალხი.

ირაკლის არ უპასუხნია, არც ჭკუაში დასჯდომია როყიოდ ნათქვამი, მაგრამ ეჭვის ჭია კი მაინც აუჩოჩქოლდა...

●

დილაადრიანად ტელეფონი რეკდა ამილახვარის ბინაში. გარეთ წვიმდა.

„ბატონი მიხა არ გახლავთ, ქარხანაშია“, — პასუხობდა ძილ-ღვიძილში მყოფი ბიჭი და რომ ეგონა, მოვიშორეო, ტელეფონი კვლავ და კვლავ ზრიალებდა.

ბიჭმა თავიდან საბანი გადაიძრო, ყურმილი აიღო.

— პაპა შინ არ გახლავთ, — და გემრიელად დაამთქნარა.

პასუხად გოგონას კისკისი მოესმა.

— ამილახვართან მაქვს საქმე, ოღონდ უმცროსთან.

— გისმენთ, ბატონო.

— ია, ვერ მიცანი? ციცო ვარ, ბიჭო, იასამანოვა. უთენია იმიტომ გირეკავ, მინდა გაგაფრთხილო, ლოგინიდან მარცხენა ფეხით არ წამოდგე-მეთქი.

— მე უკვე ფეხზე ვარ, ოღონდ რომლით გადმოვედი, აღარ მახსოვს, — გაეცინა უმცროს ამილახვარს.

— ყოველ შემთხვევაში, სახლიდან მაინც ნუ გამოხვალ მარცხენათი, — ციცო ალერსიანად ჟღურტულებდა და ირაკლი ამით ხვდებოდა, რომ რაღაცა სათხოვარი გასჩენოდა გოგოს.

— რომ გამოვიდე, რა მოხდება?

— ისეთი არაფერი... ჯერ მე მომიმდურებ და მერე ერთ კარგ კაცს. წუხელ ჩვენი საქალაქო სპარტაკიადის შედეგები რომ გადმოსცეს ადგილობრივი რადიოკვანძით, ხომ მოუსმინე?

— არა, არ მომისმენია.

— შენ ხომ რბენაში პირველი ადგილი რამდენიმე დისტანციაზე აიღე, მათ კი ერთი დისტანცია გამოუტოვებიათ, მგონი, რვაას მეტრზე სხვისთვის მიუციათ პირველი ადგილი, შენთვის მეორე დაუტოვებიათ... ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აბსოლუტური ჩემპიონობა ქალაქისა მაინც შენ გრჩება. მომილოცავს...

— გმადლობ, ამის გამო დამირეკე?.. არ ღირდა ძილის გაფრთხობად.

— არა, ია, მარტო ამისათვის არა... სათხოვარი მაქვს... ვიცი, ტელეფონით უხერხულია ამის თქმა, მაგრამ... ეგ გაუგებრობა თუ შეცდომა ჩემს ბიძას, დედის ძმას მოეკითხება, თუ შენ ხმაურს ატეხ, თუ არა და უმტკივნეულოდ ჩაივლის.

— ვინ არის შენი ბიძა? — ირაკლის ხმა გაუმკაცრდა.

— ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ოღონდ ჩვენ არ გვასწავლის. ამირან ნონიკაშვილი გაგიგონია?

— როგორ არა. მწვრთნელადაც მუშაობს სპორტსკოლაში. რვაას მეტრზე რბენაში პირველი ადგილი ვის მიაკუთვნეს?

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 4.

— ტექნიკუმელ ბიჭს, თუ არ ვცდები.

— ზუსტად მინდა ვიცოდე.

— ჰო, ტექნიკუმში სწავლობს, იქნებ იცნობ კიდეც, ზაზა ბოჭორაძე.

ირაკლიმ იგრძნო, სისხლი როგორ მოაწვა სახეზე.

— ზაზა ბოჭორაძე სულაც არ არის ტექნიკუმელი, მესამე სკოლაში სწავლობს, მერვე „ბ“-ში. სამედიცინო სასწავლებელში უნდა წასვლა, მაგრამ ფრიადზე ვერ ამთავრებს მერვეს, ამიტომ სპორტულ საბუთებს იკეთებს.

— არა, ია, განზრახ არავის არაფერი ჩაუდენია, შეცდომით მოხდა.

— შეცდომა გამორიცხულია, სხვა სასტარტო ჯგუფში რომ ყოფილიყო, კიდევ დავიჯერებდი, მაგრამ ჩემთან ერთად ირბინა, ერთი სარბენი ბილიკი გვყოფდა, წამის რაღაცა მეათედით მივასწარი ფინიშის ხაზთან.

— ჰოდა, კი ყოფილა ღირსი პირველი ადგილისა, რას ერჩი... გეხვეწები, ია, ხმაურს ნუ ატეხ, ერთი საპატიო სიგელი ვითომ არც გქონია.

— ეს ხომ ვაჭრობაა, — ირაკლიმ ენას კბილი დააჭირა, მაგრამ გვიანღა იყო.

მაშინვე დაუკიდეს ყურმილი.

შეცდომა დაუშვეს სპარტაკიადის მსაჯებმა... მსაჯებმაც და საშუალო სკოლების მასწავლებლებმაც, მათ რიცხვში ამირან ნონიკაშვილმაც, რომელიც პირველი სკოლის სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ირაკლი გერმესაშვილს არ იცნობდნენ და იგი გუნდის შემვსებ ბალასტად მიიჩნიეს.

მწვრთნელები და მასწავლებლები სხვებს დასტრიალებდნენ თავს, არიგებდნენ, რბენის რეჟიმს ურჩევდნენ, აგულიანებდნენ, ირაკლის კი ახლოს არავინ გაჰკარებია. ას მეტრზე რბენაზე უარი თქვა, დაბალ სტარტს სწრაფად ვერ იღებდა და აქ აგებდა დროში; ორასზე, ოთხასზე და რვაასზე კი ზედიზედ აიღო პირველი ადგილი, მაშინღა დაფაცურდნენ მწვრთნელები და მასწავლებელი.

— ბოდიში, ბიჭი, სპორტსმენი ყოფილხარ, ჩვენ კი ყურადღება ვერ მოგაქციეთ, — უთხრა მობოდიშებით ამირან ნონიკაშვილმა.

მომდევნო დისტანციებზე რბენისას ორივე გვერდით ჰყავდა, მაგრამ მისი წარმატებები ათასორასზე და სამიათას მეტრზე რბენაში დიდად არ გახარებიათ, რადგან ის ჯერ ისევ უცხო იყო მათთვის, და ეს უცხო, სხვა სკოლაში მომზადებული სპორტსმენი, მათ აღსაზრდელებს ჩაგრავდა. აბა, რა იყო აქ გასახარელი?

სამაგიეროდ, მიხა ამილახვარი ცას ეწია სიხარულით. მეორე დღეს თავმომწონედ აფრიალებდა რაიონულ გაზეთს, სადაც ირაკლის სურათი იყო დასტამბული.

●

— რაო, მანძილს ხო არა ზომავ?

ირაკლი ფიქრებიდან გამოერკვა და უკან მიიხედა: სიკო წამოსდგომოდა თავს, გაკვირვებული შემოჰყურებდა და თან ცალ თვალს ახამხამებდა.

— ყბაზე რაღას გიდევს ხელი? — ჩაეძია სიკო. — ყბაზე კი არა, ჭკუაზე უნდა დაგედო, რომელმაც გაფიქრებინა, რომა აქედანა მანქანა დავაგოროო... თანაც კიდევა ჩანთა აგიჩლიავებია... სწავლით არ დაპურებულხარ, საით მიდიხარ, მშიერიო, არც სიარული გივარგა, არც ფართრეთი და იერიო, გაგიგონია?..

— კბილის ამოსაღებად მივდივარ, მანქანა კი მე სულაც არ დამიგორებია, ხომ გახსოვს, სხვა დასაჯეს ამის გამო.

— ეგ იმიტომ, რომ მე ვარ კაცი...

— შენ რა შუაში ხარ?! — გაიკვირვა ირაკლიმ.

— როგორ თუ რა შუაში, თანამდებობის პირი ვარ, ყველაფრის დაცვა მე მავალია. დაგადებდი ხელსა, ეს იყო-მეთქი და სულ კინწიკვრით წაგიყვანდნენ მილიციაში... ფულიც კი მაძლიეს, მაგას დააბრალეო... იმიტომაო, რომა დანამდვილებით ვიცით, ეგ იქნებოდაო, მე კი არ დაგაბრალე.

— ვინ იყო, ფულს ვინ გაძლევდა? — ახლა უკვე დაინტერესდა ბიჭი.



— ვინა და ი შენი პატიოსანი სიძეი, თარხანას რო ეძახიან.

— თარხანა კი არა თხლეპო ჰქვია, ავლაბარში მაგ სახელით იცნობენ.

— სიძე შენია და რაც გინდა დაარქვი.

— კარგი, სიკო ძია, იმ ნაძირალას ნულარ მიხსენებ, ამბავი კი მართლა მაინტერესებს.

— აი, ნიშნეულად მახსოვს: ემანდ ეყენა მანქანაი იმ თხლეპოსა თუ ნაძირალასა. ძაან მაგარი მოვლილი მანქანა იყო. ესაო ლამაზი ქალების სურათებიო, ესაო წითელ-ყვითელი ფარებიო, წინა შუშასთან კიდევა, რალაც ჭინკა დაუხტოდა ცხვირწინა, ძაფით ჩამოკიდებული. მერე გარეთ გამოვიდნენ მანქანიდანა ი თხლეპო და მისი ქალბატონი, სულ ნაირ-ნაირი წარწერებით აჭრელებული ტანისამოსი ეცვათ. შენზე მკითხეს, თბილისიდან რო ბიჭი გადმოვიდა, იმის ამბავზე ჩამოვედით, სამასწავლებლო საით არიო. გოგომ მითხრა, მე მისი უფროსი და ვარ, ეს კი ჩემი მეუღლე არისო... ბიჭებმა მოჰკრეს ყური და თავისებურად გადათარგმნეს: პროტექტორები ჩამოუვიდნენ ირაკლი გერმესაშვილსაო, ჩემპიონობა ხომ გაინაღდა, ახლა ალბათ პროფესორობა უნდაო, მანქანას შემოეხვივნენ, მაგრამ ახლო არ გავაკარე... მერე დირექტორმა დამიძახა რალაც საქმეზე და მაშინ დააგორეს... რო მოვედი და მანქანა კედელს დაჯახებული ვნახე, შენც იქ იდექი და სხვებიცა, რა უნდა გამეგო, მაგრამა გუმანით მივხვდი, რო შენი ჩადენილი არ იყო, სახეზე კი გეტყობოდა, რომ სულაც არა გწყინდა მანქანის დამტვრევა... ერთი სიტყვით, მომპარავმა ერთი ცოდო ქნა, დამკარგავმა ათასიო, ეგრე იყო საქმე... მერე იმ ბიჭმა იკისრა ვაჟკაცურად — მე დავაგორეო და იმას ჩაავლეს ხელი... აქეთ ის ბიჭი გადაგეფარა, იქით მასწავლებელი და გცდარჩი კროლა კაკალივით.

— გადასარჩენი რა მჭირდა, მართალი ვიყავი, — წარბი შეიკრა ბიჭმა.

— კარგი ეხლა, ის დრო წასულია, პასუხს ვინ მოგთხოვს, ჩემთან მაინც გამოტყდი. არ გამოტყდები და შენი ნებაა, ის ბიჭი, სიბრტყივ რო აბია თავი... რა ჰქვიან?

— ტრისტანი, ტიტო, ტიტყო... აარჩიე, რომელიც გინდა.

— ჰო, ის ტიტყო ამბობდა, ირაკლი მეცოდება, ჯერ თბილისიდან გამოყოლილი კუდები ვერ მოუშორებია, რალა ახალი დანაშაულის დამატება უნდა, სკოლიდან გარიცხავენო... ავდგები და სულაც მე დავიბრალებ, ერთი საწყალი სამოსანი დიდი დანაკლისი არ იქნება სკოლისათვისაო... ბრტყელთავა დაუძახე შენა. ვაჟკაცი კი ყოფილა და... იმას რო ეგ არ ეკისრა, მარტო ცისია მასწავლებელი ვერ გადაგარჩენდა.

— მე ჩემმა სიმართლემ გადამარჩინა.

— კარგი, ვთქვათ, დაგიჯერე, რო აქ ეგრე იყო. თბილისში? იქ რალა შეიმთხვიე?

ბიჭმა განზე გაიხედა.

— ეგ მხოლოდ ცისია მასწავლებელმა იცის, სხვისთვის არ მითქვამს... და არც ვეტყვი არავის.

— შენ არ გითქვამს, მაგრამ თხლეპომ მითხრა, ეგ ჩემი ცოლის ძმაი არა მკადრულობს, როგორც სიძესაო. ვერ გამიგია რა უნდა, რას გადამეკიდა, ჯერ იყო და, ქორწილში აგვიმტუტა სუფრა, ახლა კი ეს ახალთახალი მანქანა დამინაჭუჭაო...

— არავითარი ქორწილი არ ყოფილა! — კბილებში გამოსცრა ბიჭმა. — სპეკულანტების ბანდა ღრეობდა, ჩემი და ჩაითრიეს დამნაშავეთა ჯგუფში და სიგარეტებს აყიდვინებდნენ... ფაბრიკიდან გამოჰქონდათ... ჰოდა, იმ ღრეობის დროს შევიპარე ჩემი დის ბინაში, რომელიც ამ თხლეპოს ჰქონდა მისთვის ნაქირავები, სააბაზანოში შევიტანე მოპარული სიგარეტები და ჰავანური სიგარების ოთხი კოლოფი და ცეცხლი წავუკიდე. ბინის კარი გასაღებით გავიკეტე და გავიქეცი... მალე გაეგოთ, ხანძარი ჩაექროთ, მაგრამ მეზობლებს ერთი ამბავი აუტეხიათ...

ამან ისე შეაშინა თხლეპო, რომ ცოლად შეირთო ჩემი და, შინ წაიყვანა... აქ შესარიგებლად ჩამობრძანდნენ, ეგონათ, ძალიან გამიხარდებოდა, რომ ხელი მოაწერეს და ცოლ-ქმარი გახდნენ...

— არ დაელაპარაკე? — სიკომ დავსებულ თვალზე ხელსახოცი მოისვა და საღი თვალიდანაც მოიწმინდა ცრემლი.

— ნახვის ღირსადაც არ ჩავთვალე... ძალიან კი გამიძნელდა... მხოლოდ ეგ ერთი და მყავს და ვიცი, რომ მასაც ძალიან ვუყვარვარ.

— სიძეს მაინც რას უწუნებ, ვერ გამიგია, შეხედო — კაცია.

ბიჭმა ხელი ჩაიქნია.

— ნაძირალაა... მაგას შეუძლია ციხისთვისაც გაიმეტოს ზეინაბი, ოღონდ სარფა ნახოს... მეზიზღება. ჩემი და კი უჭკუოა, ვერაფერს ხედავს.

— ცოდოა გოგო, — სიკომ ამოიოხრა და ცალი თვალით ერთხელ კიდევ შეათვალიერა ბიჭი. — კარგი, ჩავთვალოთ, რო მაგაშიც მართალი ხარ... დღევანდელზე რაღას იტყვი, რისთვის გამოგაპანღურეს?.. შენა გგონია, გუდანაბადაკრული რო მოდიოდი, ვერ დაგინახე?.. დაგინახე, მაგრამა, რაკი ვიცოდი, საამქვეყნო პირი აღარ გქონდა, აღარ გაგაჩერე... ხუმრობა საქმე ხომ არ არი, ბავშვსა ორი საკონტროლო რვეული ჰქონდეს, ერთში თუ ვერ მიიღებს ხუთიანსა, მასწავლებელი მეორეში აწერინებს და მაინც უწერს კაი ნიშანსა...

— ვინ გითხრა, რომ ეგრეა?..

— იასე ჩინჩალაძის შოფერს პირზე რა დაადგება... თქვენი კლასის ბავშვებმა სულ იმისგან გაიგეს ყველაფერი. არც ცისია მასწავლებელს დაადგება კარგი დღეი.

— მასწავლებელი არაფერ შუაშია, მე შევაპარე მეორე რვეული, — ბიჭმა ჯიქურ შეხედა მოხუცს და გზას გაუყვა.

●

მთის საძოვრებზე წითელჯვრიანი მანქანა ამოვიდა და ბარში სამკურნალოდ დატოვებული ჯანდაგი დედა-



ცხვრები, ხაშალი თოხლები და დავარდნილი ბატკნები ამოიყვანა.

თეთრხალათიანი ვეტფერშალი მწყემსების გვერდით იდგა და გამოჯანმრთელებულ პირუტყვს ანაწილებდა. სულ ბოლოს გოლა გამოჩნდა, მანქანის ძარიდან ერთი ადრეული ბატკანი კიდევ გამოახტუნა და თვითონაც უკან მოჰყვა.

— იცნობდეთ, ამილახვრიანთეულია, წითელგორიდან გამომატანეს, კერძო ფარაში დადენილა დედასთან ერთად, მერე დედა მოჰკვდომია და, შინ ბლავილით გვაბეზრებსო, აქ გამომატანეს. ბაჩა ჰქვია, ბაჩუნა.

შემართულ ტანზე თეთრი ხუშხუშელა მატყლი ეყარა ბაჩას, მხოლოდ ოთხივე ფეხის კოჭებზე, ორივე ყურზე და დრუნჩზე აჩნდა წითელი ბალანი. რქები მასაც გამაგრებოდა და დაგრეხოდა.

— ჰა, ბაკა, ძაან ვაჟკაცი დამდგარხარ, ბიჭიც შენა ხარ და შავი ერკემალიც შენა გქვია. თუ ეხლა არა, მომავალში მაინც იქნები განთქმული ერკემალი, მაგრამ ისე ვერ გაიწვრთნები, ყოჩად ვერ ივარგებ, თუ რქაზე რქის დამრტყმელი არა გყავს... ჰოდა, აი, მოგიყვანე მეტოქე! დანარჩენი თქვენ იცით, — უთხრა თავჩობანმა.

ბაკამ და ბაჩუნამ თვალებით გაზომეს ერთმანეთი, არაფრით გაუმჟღავნებიათ, მოეწონათ თუ არა ერთმანეთი, ეს კი იყო, რომ სამეგობროდ ერთმაც სხვა ბატკნები არჩია და მეორემაც.

უკვე შავ ერკემლად შესახელებული ბაკა ფარის წინამძღოლობას ჩემულობდა. როცა წინ მიდიოდა, მოცილეს ვერ იტანდა. ნარინჯა ერკემალი ანთუ საერკემლო, წითელგორიდან რომ ამოიყვანეს, აშკარად არ ექიშპებოდა, მაგრამ სულ არ უყურებდა, საით მიდიოდა ბაკა, მას თავისი ბილიკები ჰქონდა ამორჩეული, ამ გზაწვრილებით დადიოდა თავის რჩეულ ბატკნებთან ერთად.

წითელი და შავი ერკემალი შორით ზვერავდნენ ერთმანეთს.

დედაცხვრები შრებოდნენ, წველა კლებულობდა, ახლოვდებოდა დრო, როცა საბოლოოდ უნდა გაერჩიათ ბატკნები დედებისაგან და ბარისაკენ გაერეკათ. მოზრდილთა ფარას გვიან ჩამოიყვანდნენ ზამთრის საძოვრებზე, გაპარსავდნენ, გაალამაზებდნენ ყველას და მერე ერთმანეთს კიდეც რომ შეხვედროდნენ დედები და შვილები, ველარ იცნობდნენ.

ბატკნები თამაშობდნენ, მოზრდილებს ბაძავდნენ, დამოუკიდებელი მომთაბარეობისათვის ემზადებოდნენ და მათ აუცილებლად ერთი წინამძღოლი უნდა ჰყოლოდათ.

წითელი და შავი ერკემლის სავალი ბილიკები სულ უფრო ხშირად კვეთდა ერთმანეთს, ყოველდღე ისმოდა მათი რქების ჯახანი, ოღონდ ეს იყო მცირე გაკენწლავება, ჯერ პირისპირ არ დამდგარიყვნენ.

●

ცისია მუხრანელი სამასწავლებლოში თავის მაგიდასთან იჯდა და განათლების განყოფილების გამგის სახელზე მოხსენებით ბარათს წერდა. არ ჩქარობდა, ცდილობ-

და, ყოველი თავისი მოსაზრება დაესაბუთებინა. ახალგაზრდა მასწავლებელი დარწმუნებული იყო, რომ ასეთ სიმდაბლეს მის კლასში არავინ ჩაიდენდა. როცა ის აბზაცი დაიწყო, სადაც ბავშვთა კოლექტივის ღირსება უნდა დაეცვა, თითოეულ თავის მოსწავლეს ერთხელ კიდევ შეხედა გონების თვალით. არა, კლასის ხელმძღვანელი არ ცდებოდა, მათგან ვერც ერთი თავის მასწავლებელს საავუგოდ ვერ გაიმეტებდა. იქნებ მასწავლებლის ავტორიტეტი ამ შემთხვევაში მოსწავლეთა ურთიერთშორის ქიშპს შეეწირა?.. იქნებ ირაკლი გერმესაშვილისათვის მოქნეული მახვილი, როგორც მის ქომაგს, ისე მოხვდა ცისია მუხრანელს?..

ვიღაცამ ამხანაგი გაწირა, თანაც ასე სულმდაბლურად, ლაჩრულად — განა ეს ნაკლები დანაშაულია? ვის შეეძლო ამის ჩადენა? ცხადია, უწინ ფრიადოსნების ირგვლივ უტრიალა ფიქრმა. გოგონები მაშინვე გამორიცხა; დარჩა ბადრი კალმახელიძე, იგივე ბათო თავისი ორი ერთგული ნოინით. კლასში პირველობისათვის ძირითადად ამ ორ ბიჭს შორის იყო გაჩაღებული ჩუმი შეჯიბრება.

იქნებ მასწავლებელმა თანაბრად ვერ უწილადა ყველას თავისი გულის სიკეთე; იქნებ ვინმეს დააკლდა მისი ქომაგობა, მხარდაჭერა; იქნებ ირაკლის უფრო მეტი დრო დაუთმო, როგორც ტრავმირებულს, დედის სიკვდილით გზაგამრუდებულ ბავშვს და ეს მიკერძოებად ჩაუთვალეს.

კოლექტივს ახალი წევრი შემოემატა, თავისი მშობლიური სკოლიდან გამოქცეული თუ გამოგდებული. საბუთებიდან რას გაიგებ, ბავშვს რა ცეცხლი უტრიალებს გულში, რამ გადაადგმევინა არასწორი ნაბიჯი, მერე დანაშაულად რომ ჩაუთვალეს. კლასის ხელმძღვანელი ხომ ვალდებული იყო, გარკვეულიყო ყოველივე ამაში, თანაც ისე ფაქიზად, რომ ბავშვს არ ეგრძნო, თითქოსდა ვინმე უცხო აპირებდა მისი სულის კუთხე-კუნჭულში ხელების ფათურს. ამას კი დრო სჭირდებოდა, დროც და დიდი შრომაც მასწავლებლის მხრივ.

ცისიას მიაჩნდა, რომ მან კარგად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას — ბიჭი ენდო მას, გაუზიარა ყველა თავისი ტკივილი.

დედის სიკვდილის შემდეგ ოჯახში უცხო ქალის მოსვლა ბავშვებმა ისე მიიღეს, როგორც აუცილებელი რამ, და მასთან შეგუება სცადეს. პირველ ხანებში თითქოს ნორმალურად მიდიოდა ცხოვრება, მაგრამ უთანხმოებამ თანდათან იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ მამის ხელფასი საკმარისი არ იყო ოჯახისათვის და დედინაცვალმა მის ჯიბეზე კონტროლი დააწესა. მამა მშენებლობაზე მუშაობდა მეექსკავატორედ, შინიდან უთენია გადიოდა და ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა. უცხო ქალის ანაბარად მიტოვებულ ბავშვებს იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, რომ მამისთვის შეეჩივლათ თავიანთი გასაჭირი. მასწავლებლებმა იგრძნეს, რომ ბავშვებს ოჯახური პირობები გაუუარესდათ, მაგრამ მათმა ჩარევამ შედეგი არ გამოიღო. მალე ოჯახის უფროსი მშენებლობაზე დაშავდა და საავადმყოფოში მოხვდა. ამის შემდეგ ქალი სულ გართა-გართა დადიოდა. მერე მამა ინვალიდად დაბრუნდა შინ და ცოლის ყურმოჭრილ ყმად იქცა.

შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ოჯახიდან გაქცევა იყო. ეს უწინ გოგონამ იგრძნო, ირაკლის უფროსმა დამ — რვა კლასი დაამთავრა თუ არა, პროფტექნიკურში მოეწყო და საერთო საცხოვრებელში გადავიდა...

გოგონა, ეტყობა, მაშინვე არა, მაგრამ მერე მაინც ცუდ წრეში მოხვდა, ფულიანმა ვიგინდარებმა გადაიბირეს და საეჭვო მაქინაციებში ჩაითრიეს. ვის უნდა ეგრძნო ეს ყველაზე უწინ თუ არა მოსიყვარულე ძმას? და ეს ასეც მოხდა. ბიჭმა ეჭვიანობა დაიწყო, ნერვიულობა დასჩემდა. თავისი დის გვერდით ვინმე! რომ დაინახავდა, ავადმყოფურად განიცდიდა, სწავლას უკლო. ერთხელ სპეკულიანტებს, მის დასთან რომ დაიარებოდნენ, იმდენი სდია და უთვალთვალა, ვინ არიან და საიდანაო, რომ მათაც შენიშნეს. შეეშინდათ, მილიციის მოგზავნილი არ იყვესო, დაიჭირეს და მაგრად სცემეს.

მათი ასავალ-დასავალი ვერ გაიგო ირაკლიმ, მხოლოდ ის დაახსომდა, რომ თხლეპოს ეძახდნენ იმ კაცს, ვინც მას მტკივნეულად ურტყამდა.

ცოტა ხნის შემდეგ მამის ოჯახს ესტუმრა ზეინაბი, მთლად იმპორტულებში გამოწყობილი და ბეჭედ-ყელსაბამით შემკობილი. დედინაცვალს საჩუქრები მოუტანა, მამას — ვისკის დიდი ბოთლი და უცბად მოინადი-



რა მათი გული. ირაკლიმ ახლოს არ გაიკარა თავისი ერთ დროს საყვარელი დაიკო.

ზეინაბმა იგრძნო, რითაც იყო მოშხამული მისი ძმა, ადგა და ვითომ გულწრფელად მოუყვა: საქმრო მყავს, მდიდრის შვილი, და ის ყიდულობს ჩემთვის ყველაფერსო, ერთოთახიანი ბინაც მან მიქირავა და ავეჯითაც მომიწყოო. თუ არ გჯერა, წამოდი და შენი თვალით ნახეო. ამისთანა მიპატიჟებაზე უარს როგორ იტყოდა ეჭვის თვალით შემყურე ძმა, მაშინვე წაჰყვა.

მეტროსთან ახლოს ძალიან მოხერხებულ კვარტალში ექირავებინა ბინა ზეინაბს, თანაც დაბლავე, პირველ სართულზე. სანამ გოგო საფოსტო ყუთიდან გაზეთებს იღებდა, ირაკლი კართან იდგა და ელოდა. სწორედ მაშინ წაუტუტუნა კიბეზე სვნეშით ჩამოგორებულმა სქელმა დედაკაცმა:

— მაგ ანგელოზივით გოგოს, შვილო, პატრონი არა ჰყავს? — ერთი შეხედა ირაკლის, ამოიოხრა და წავიდა.

ბიჭს ლახვარივით დაესო გულზე ეს სიტყვები, ყველაფერს მიხვდა. შინ კი შეჰყვა, მაგრამ ეკლებზე იჯდა, არ იცოდა, რა მოემიზეზებინა, რომ წამომხტარიყო და აქედან გაქცეულიყო.

სწორედ ამ დროს კართან ზარი აწკრიალდა, ზეინაბი გასაღებად წავიდა და — ბიჭმა თვალებს არ დაუჯერა — თხლეპოს შემოუძღვა. ახალგაზრდა დიასახლისი წინიდან ჩამოეცალა სტუმარს. განზე გადგა, რომ ძმისათვის წარედგინა, მაგრამ ვერ მოასწრო...

სკამიდან წამოწეული ბიჭი ზამბარასავით შეიკუმშა, წინ გაიტყორცნა მთელი ტანით და დანდობილად კაცს ნიკაპში აძგერა თავი — უკან გადააგდო, კარს ეცა და გარეთ გავარდა. შორს არ წასულა, ეზო მოჩხრიკა თვალებით და რკინის ნაჭერს დაავლო ხელი. თხლეპო გამოვიდა სადარბაზოდან, იქვე მდგარი ბიჭი რომ დაინახა, სახე დაებრიცა და იღრიალა:

— დამიჭირეთ, თორემ მოვკლავ ამ ლაწირაკს! — გულში ჩაიბაგუნა ხელი.

— ვერაფერსაც ვერ უზამ, — წინ გადაუდგა ის სქელი დედაკაცი და საბიჯგი ჯოხი შემართა, — უნდა გრცხვენოდეს, ბალღებს დასდევ ცოლ-შვილიანი კაცი.

ხალხი გროვდებოდა ხმაურზე. ირაკლი მიხვდა, რომ ეს ხმაური და ჩხუბი ლაფში სვრიდა მისი დის სახელს. რკინის ნაჭერი ხელიდან გააგდო, თავი ჩაღუნა და აქვითინებული წავიდა მეტროს სადგურისაკენ.

არც ის დაუმალავს ირაკლის, თუ როგორ წაუკიდა ცეცხლი სიგარეტის კოლოფებსა და ჰავანურ სიგარებს, რათა სპეკულიანტების მიმართ მოსახლეობის ზიზღი გამოეწვეია, მაგრამ ხულიგნობად ჩაუთვალეს ეს საქციელი და ლამის ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში ამოაყოფინეს თავი. კლასის ხელმძღვანელის თავგამოდება რომ არა, ახლა სადმე იქნებოდა ჩაკეტილი ეს ნიჭიერი და ფაქიზი ბუნების ბავშვი, რომელსაც ჯერ სრულად არ გამოუმჟღავნებია თავისი შესაძლებლობანი ახალ კოლექტივში და ამიტომაც მის შეფასებაში აქაური ბავშვები გამოგონილსა და მონაჭორს უფრო ეყრდნობიან. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფრთხილობენ მასთან დაახლოებისას...

იქნებ მე უტაქტოდ ჩავერიე და ამ პროცესის დაჩქარება ვცადე. მათ კი ეს მიკერძოებად მიიჩნიესო, — ამაზეც კარგა ხანს იფიქრა ცისიამ, მაგრამ ვერც აქ გაიმტყუნა თავი.

ახლა ის ეპიზოდი გადასინჯა, როცა ირაკლი გერმესაშვილს თავისმა დაიკომ და „ახალდანათესავებულმა“ თხლეპომ ჩამოაკითხეს თბილისიდან. როცა მათ აივანზე შემოდგეს ფეხი, კლასს ფრანგულის გაკვეთილი ჰქონდა და მოსწავლეები საკონტროლოს წერდნენ. ბავშვებს წამით გაეფანტათ ყურადღება, მაგრამ მასწავლებელმა წესრიგისაკენ მოუხმო. იქვე ისიც შენიშნა, როგორ გადაფითრდა გერმესაშვილი. ცისიამ იცოდა, რომ წინა დღით, ვარჯიშის დროს, სპორტული იარაღიდან მოწყდა ეს ბიჭი და ხელი შეხვეული ჰქონდა ამის გამო. ცუდად ხომ არ ხარო, შეეკითხა. გერმესაშვილმა თავი გადააქნია უარის ნიშნად და წერა განაგრძო.

მისი რვეული რომ ნახა, გულს შემოეყარა, წითელი მელნით დათხუპნული აჩხაბაჩხა ნაწერი იხილა. თვითონ ბიჭს კი ფერი აღარ ედო სახეზე, კანკალებდა.

ცისიამ იმ დროს ჯერ არ იცოდა, თუ ვინ იყვნენ სკოლაში მოსული სტუმრები, თორემ შენიშნავდა, რომ მათ დანახვაზე ბიჭმა ნატკენ თითზე იკბინა და სისხლი წამოუვიდა. ეს მერე უთხრეს მოსწავლეებმა.

მასწავლებელმა მაშინვე მედპუნქტში მიიყვანა, დასისხლიანებული ხელი შეახვევინა, დაამშვიდა და თავისთან წაიყვანა ფრანგული ენის კლას-კაბინეტში, დანარჩენ გაკვეთილებს აღარ დაასწრო. იმ სტუმრებს კი უთხრა, რომ ბიჭს არ სურდა მათი ნახვა.

სწორედ ამ დროს დააგორეს ვინმე თარხან თათანაშვილის მანქანა. მერე ირაკლისაგან გაიგო ცისიამ, რომ ეს თარხანი იგივე თხლეპო იყო.

რაკი გერმესაშვილმა არ ინდომა ახალმოვლენილი ნათესავის ნახვა და აშკარად გამოამჟღავნა თავისი სიძულვილი, ყველამ მასზე მიიტანა ეჭვი — მანქანას ის დააგორებდაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი მეცნიერი და მამულიშვილი



„პიონერის" მკითხველთა შორის, დარწმუნებული ვარ, ერთიც არ იქნება ისეთი, ვისაც აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელი არ გაუგონია და არ იცის, რომ ის არის თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული ენის დიდი მკვლევარი. ამ გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილს ახლახან ასი წელი შეუსრულდა. მისი ღვაწლის სრული დახასიათება ერთ წერილში შეუძლებელია, მაგრამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ზოგადად მაინც გადავავლოთ თვალი მეცნიერის საუკუნოვანი ცხოვრების გზას.

აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს გურია-იმერეთის საზღვარზე გამავალი პატარა მდინარის — ხევისწყლის პირას, სოფელ ნოღაში, ეკლესიის მედავითნის ოჯახში. მამამისს გაბრიელს და დედას ეფემიას ხუთი შვილი ჰყავდათ, — ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. აკაკი მეოთხე შვილი იყო, ძმებში ყველაზე უმცროსი.

გაბრიელ შანიძის შვილებს ცხოვრება ია-ვარდით არ ჰქონიათ მოფენილი. ბავშვობა და ყრმობა მათ სიღარიბეში გაატარეს. აკაკი სამი-ოთხი წლისა ყოფილა, როცა მშობლები იძულებული გამხდარან ოდა-სახლი გაეყიდათ და მთელი ათი წლიწადი ისლით დახურულ, მიწის იატაკიან „სამზადში" ეცხოვრათ.

ბატონი აკაკი ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებდა მშობლებს, რომლებიც შვილებს შრომას აჩვევდნენ, მუყაითობასა და საქმის ერთგულებას ასწავლიდნენ. გაბრიელი ხშირად ამოიყენებდა თურმე თავის ვაჟებს გვერდით და მათთან ერთად თოხნიდა სიმინდს, მაგრამ, ხელმოკლეობის მიუხედავად, ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ შვილებს სწავლა-განათლება მიეღოთ.

სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ უფროსმა ძმებმა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში განაგრძეს სწავლა, აკაკიმ კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და იქვე კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასში ჩაირიცხა (საგანგებო გამოცდების ჩაბარების შემდეგ). გიმნაზია 1909 წელს დაამთავრა ვერცხლის მედლით, რის საფუძველზეც გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ ნება მიეცათ აკაკი შანიძისათვის, შესულიყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, დაენიშნათ სტიპენდია და გამოეყოთ სამგზავრო თანხა დახმარების სახით.

პეტერბურგის უნივერსიტეტში აკაკი შანიძემ გაიარა შესანიშნავი ფილოლოგიური სკოლა. მას ლექციებს უკითხავდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ნ. ადონცი, ვ. ჟუკოვსკი, ვ. ბართოლდი, ი. ბოდუენ-დე-კურტენე, ლ. შჩერბა, ი. კრაჩკოვსკი და სხვები, ხოლო მის მუშაობას უშუალოდ თვალყურს ადევნებდნენ და წარმართავდნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. მისი მეცნიერული ინტერესის გაღვივებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ", რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში 1907 წლიდან არსებობდა ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტის კურსის დასრულების შემდეგ (1913 წ.) აკადემიკოს ნიკო მარის რეკომენდაციით აკაკი შანიძე იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

აკაკი შანიძე იყო ჩვენი ერის დიდი თავკაცის, ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანამშრომელი, ერთ-ერთი აქტიური წევრი ქართველ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რომლის შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლის შედეგად დაარსდა პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში — თბილისის უნივერსიტეტი. ა. შანიძე შედიოდა მის პირველ პროფესორთა კოლეგიაში. 1918—1929 წლებში ის განაგებდა არაბული ენის კათედრას, 1929—1945 წლებში — ქართული ენის კათედრას, ხოლო ამ კათედრის ორად გაყოფის შემდეგ — 1945 წლიდან უცვლელად ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ენის კათედრას.

აკაკი შანიძე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1933 წლიდან. 1941 წელს ის დამფუძნებელ წევრად შევიდა საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში. 1948—1951 წლებში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა აკაკი შანიძის პირველი ვრცელი გამოკვლევა ქართული ზმნის შესახებ: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“. იმავე წლის 9 მაისს ამ ნაშრომის საფუძველზე ავტორმა მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ეს იყო თბილისის უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია და, საერთოდ, პირველი დისერტაცია, რომლის დაცვის მთელი პროცედურაც ქართულად წარიმართა.

ამ ნაშრომში ავტორმა ორიოდე ზმნის ჩვენებაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ ერთ დროს რომელიღაც ქართულ დიალექტში პირის ნიშნად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ხ პრეფიქსი. ეს არის მეცნიერული შორსმჭვრეტელობის კლასიკური ნიმუში, რომელიც ორიოდე წლის შემდეგ ბრწყინვალედ დადასტურდა ი. ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენით. მალე თვითონ ა. შანიძემ აღმოაჩინა ჰაემეტი ტექსტები, რამაც კიდევ უფრო ცხადყო პირის ნიშანთა ისტორიული ურთიერთობა.

ზმნის მრავალპირიანობის დადგენამ გზა გაუხსნა ა. შანიძეს, გამოევლინებინა და დაეზუსტებინა ქართული ზმნის მთელი რიგი გრამატიკული კატეგორიების რაობა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქცევა ანუ ვერსია.

1930 წელს გამოიცა ა. შანიძის „ქართული გრამატიკის“ პირველი ნაწილი, რომელიც ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა იყო. შემდგომში მისი თანდათან გადამუშავება-გაფართოების გზით შეიქმნა ვრცელი „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (1973 წ.), რომელიც ყოველი ქართველოლოგის სამაგიდო წიგნია. აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ქართველი ახალგაზრდობა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის გრამატიკას აკაკი შანიძის სახელმძღვანელოებით სწავლობს.

ა. შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მოძიებას, შესწავლასა და გამოცემას.

ცალკე უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის აღდგენა, პოემის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემა ვარიანტებითურთ (ალ. ბარამიძესთან ერთად), აგრეთვე მრავალრიცხოვანი რუსთველოლოგიური შტუდიები, რომლებიც ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს.

უაღრესად ფართო იყო აკაკი შანიძის მეცნიერული ინტერესების სფერო: ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგიური კვლევა-ძიება, ეპიგრაფიკა, მწერლის ენა, სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხები, ლიტერატურის, ფოლკლორის, ისტორიის საკითხები. ა. შანიძემ შეისწავლა ალბანური დამწერლობის ნიმუშები და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ დარგს — ალბანოლოგიას. მან დიდი ამაგი დასდო ქართული სასტამბო შრიფტის გაუმჯობესება-გამრავალფეროვნების საქმეს. მან აკად. გიორგი წერეთელთან და პოეტ ირაკლი აბაშიძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო პალესტინის ექსპედიციაში, რასაც შედეგად მოჰყვა რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენა და პოეტის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტება.

ბიბლიურ დღეგრძელობასთან ერთად აკაკი შანიძე ბუნებამ იმითაც დააჯილდოვა, რომ ბოლომდე შეუნარჩუნა ნაყოფიერი შრომის ხალისი. ბევრი მისი ბრწყინვალე ნაშრომი ღრმა მოხუცებულობის ასაკშია დაწერილი. ასეთია, მაგალითად, „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, გამოცემული 1971 წელს, როცა ავტორი უკვე 84 წლისა იყო. ამ ნაშრომისათვის მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. 1976 წელს, 89 წლის ასაკში, ა. შანიძემ გამოსცა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“. ამ წიგნის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ის მალე ითარგმნა და გამოიცა გერმანულ და სომხურ ენებზე. სულ ახლახანს მეცნიერმა დაასრულა ვრცელი, 25-თაბახიანი ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი, რომელიც ასევე დიდი შენაძენია მეცნიერებისათვის.

საერთოდ, ა. შანიძის კალამს ეკუთვნის ხუთასზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ათეულობით მონოგრაფია, რომლებიც ერთად 12 სქელტანიან ტომს შეადგენს.

ყოველივე ამის გაკეთება ერთი კაცისაგან შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის არაჩვეულებრივ ნიჭთან ერთად განუზომელი შრომისმოყვარეობითაც არ ყოფილიყო გამორჩეული. აკაკი შანიძე ასი წლისა ისე მოიყარა, რომ მეცნიერული შრომის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია. ამიტომ არის მისი ნაშრომ-ნაღვაწი ასე ხვავიან-ბარაქიანი.

აკაკი შანიძე დაჯილდოებულია მთავრობის მრავალი ჯილდოთი: ორდენებით, საპატიო წოდებებით, პრემიებით, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის საყოველთაო სიყვარულია. მისი დაბადების ასი წლისთავი განსაკუთრებული სითბოთი აღნიშნა მთელმა საქართველომ. საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და აკაკი შანიძისადმი ღრმა პატივისცემის გამოსახატავად თბილისში ჩამოვიდა ბევრი ცნობილი მეცნიერი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან, აგრეთვე უცხოეთიდან.

მაგრამ სულ მალე, როცა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო საიუბილეო ზეიმის ტალღა, სამუდამოდ წავიდა ჩვენგან დიდი ქართველი სწავლული და მამულიშვილი; წავიდა სამშობლოს წინაშე სამაგალითოდ კალმოხდილი, უკვდავების შარავანდედით მოსილი. ა. წ. 2 აპრილს ის დაკრძალეს უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის გვერდით.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე




# ცისფერი ტბების მხარე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სივჩიკოვი

„ცისფერი ტბების მხარე“, „თეთრი ყარყატების ნაპირი“, „თეთრ ფრთებქვეშ გადაშლილი მიწა“ — ასეთი გახლავთ ბელორუსიის მხოლოდ რამდენიმე პოეტური სახელწოდება.

„ბელორუსი“. საიდან მოდის ეს სახელი? არსებობს რამდენიმე ახსნა. იხსენებენ ტანთეთრ არყის ხეებს, სოფლის მცხოვრებთა უწინდელ თეთრ ტანსაცმელს, მათ ქერა, თითქმის თეთრ თმებს და კანის სითეთრეს. და ყოველივე ეს სულაც არ უპირისპირდება იმ აზრს, რომ ბელორუსი ძველი რუსეთის ის მიწებია, რომლებმაც თათარ-მონღოლთა ურიცხვი ურდოები მოიგერიეს და კვლავაც „თეთრები, სუფთები“ დარჩნენ.

როგორია ჩვენი ბელორუსია? რას წარმოადგენს? ეს არის რესპუბლიკის ჩრდილოეთში მდებარე ტბების მხარე, ბორცვებზე მიმობნეული უზარმაზარი კაჰრები და წიწვნარები; ეს არის მისი ცენტრალური ნაწილი სლუცკის დაბლობით, ბელორუსიის ბეღელს რომ უწოდებენ; ეს არის ნემანის ალერსიანი და ნოყიერი ველი უზარმაზარი მუხებითა და ცაცხვებით, აქა-იქ უძველესი ციხე-სიმაგრეების ნანგრევებით; ეს არის რესპუბლიკის აღმოსავლეთი, მისი დაბლობებით, ტორფიანი და ხავსიანი ჭაობებით, მშვენიერი ბაღებითა და ყანებით; ეს არის დნეპრისპირეთი; და ბოლოს, ეს არის პოლესიე თავისი ფიჭვნარებითა და მუხნარებით, მდინარე პრიპიატის დაჭაობებული ჭალებით.

ბელორუსია არის 2900 მდინარე და 11 ათასი ტბა, ბელოვეჟის, ნალიბოკის, ბერეზინსკისა და სხვა ნაკრძალები, რომლებშიც ბინადრობენ ირემი, დათვი, გარეული ღორი, თახვი და მგელი. და კიდევ — გოლიათი ზუბრები, — ბელორუსიის სიძლიერის სიმბოლო. თვით ბელორუსიის რუკის მოხაზულობაც კი, ზოგიერთის აზრით, ზუბრს წააგავს.

ბელორუსიას 207,6 ათასი კვადრატული კილომეტრი უკავია. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე იგი 560 კილომეტრზეა გადაჭიმული, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე კი 650-ზე. ბელორუსია ესაზღვრება უკრაინას, რუსეთს, ლიტვას, ლატვიას, პოლონეთს, და ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ჩრდილოეთ ევროპიდან აღმოსავლეთისკენ და ბალტიისპირეთიდან შავიზღვისპირა ქვეყნებისაკენ მიმავალ გზებზე. სამწუხაროდ, ამ ხელსაყრელ მდებარეობას ხშირად უბედურებაც მოუტანია: აღმოსავლეთ ევროპაში გადავლილი არც ერთი ომი არ ასცდენია ბელორუსიას. ამ მრავალჭირნანახი და გმირული მიწა-წყლის შვილებს ეამაყებათ, რომ მათი სამშობლო არასდროს ყოფილა აგრესორი და ყოველთვის თავგანწირვით იცავდა საკუთარ თავისუფლებას. მან პირველმა მიიღო ვერაგი მტრის დარტყმა 1941-ში და მერეც მედგრად იბრძოდა, ვიდრე ომის შემმუსვრელმა ტალღამ საზღვარს იქით არ დაიწია. დიდ სამამულო ომში მისი ყოველი მეოთხე მცხოვრები დაიღუპა. გლოვის ნიშნად აღმართულან ობელისკები საძმო საფლავებზე, ტკივილად და მრისხანებად ჩაგვესმის ხატინის ზარების რეკა, საბჭოთა მეომრებისა და პარტიზანების შეუპოვრობას ადიდებენ სტელები, სიმბოლური ხიშტების სახით რომ აღმართულან დიდების ყორღანზე, ბელორუსი ხალხის დამსახურება გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში საყოველთაოდ არის აღიარებული: ბელორუსიის სსრ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ასევე მძლავრად ქუხს ბელორუსი ხალხის შრომითი დიდებაც. ბელორუსები რესპუბლიკის ათმილიონიანი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს შეადგენენ, მაგრამ ტყუილად არ ეძახიან ბელორუსიას ხალხთა მეგობრობის რესპუბლიკას — აქ 100 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და შრომობს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ცნობილი ჩვენი მძლავრი „ბელაზები“ და „ბელარუსები“, ქსოვილები და ნავთობპროდუქტები, ტელევიზორები, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები, ჩარხები და მინერალური სასუქები. რესპუბლიკის მეცხოველეობა მეღორეობისა და მეფრინველეობის მიმართულებით ვითარდება, სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე სელისა და კარტოფილის მოყვანას.



ბელორუსი ხალხი ამაყობს სოფლის მეურნეობის მუშაკებით, ფაბრიკა-ქარხნების მუშებით, მეცნიერებით, ამაყობს თავისი „ვარსკვლავეთელი“ შვილებით — კოსმონავტებით პ. კლიმოვითა და ვ. კოვალიონოკით. ბელორუსიის სიამაყეა მისი ხალხი, ამ ხალხის მუხლჩაუხრელი შრომა. აქ მოჰყავთ პური, აშენებენ ულამაზეს ქალაქებს, ჰქმნიან კულტურის უკვდავ ძეგლებს. ბელორუსებს უმდიდრესი, უნიკალური ფოლკლორი აქვთ, აღმოსავლეთ სლავურ ხალხთაგან მათ პირველებმა დაბეჭდეს წიგნი მშობლიურ ენაზე (ფ. სკორინა, 1517 წელი).

„... და არ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუძს ღირსეულად შეამკოს ეს ხელები, რომლებმაც შექმნეს მინისა და კერამიკის შესანიშნავი ნაკეთობები, ქსოვილები და შორენკეცები, ლითონისა და ტყავის ნაწარმი, შეუდარებელი ფერწერა და ქანდაკება და კიდევ ხუროთმოძღვრება — კოლოჟის ცისარტყელა, სინათლით აღსავსე კოშკები და ტაძრები, პირქუში ციხე-სიმაგრეები და განუმეორებელი, ტიპური ბელორუსული გოთიკა, ლოტოსივით მორთულ-მოკაზმული ბაროკო, კლასიციზმი... ორიგინალური ხის ნაგებობები, რომელთა დარი ძნელად თუ მოიძებნება. ეს ის ხუროთმოძღვრებაა, როცა გლეხის ნაჯახი ფიდიუსის საჭრეთელს არ ჩამოუვარდება“, — წერდა მშობლიური მხარის შესანიშნავი მცოდნე, გამოჩენილი მწერალი ვ. კოროტკევიჩი.

ბელორუსი ხალხი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, შეუპოვარი და სტუმართმოყვარეა. გვინდა, რომ თქვენ, ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ნორჩო მკითხველებო, დაუსწრებლად შეიყვაროთ ცისფერი ტბების მშვენიერი და დიადი მხარე. იგი ღირსია ამისა.

# БЯРОЗКА

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მასალების ციკლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს ეძღვნება და მისი მიზანია, გაგაცნოთ მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ცხოვრება-საქმიანობა, შრომითი მიღწევები, გეგმები და ამოცანები. რა თქმა უნდა, ამასთან, უპირატესი ყურადღება თქვენს თანატოლებს დაეთმობა.

ციკლს ვხსნით ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკით.

მასალები „პიონერისათვის“ მოამზადეს ბელორუსიის ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიურ საბავშვო ჟურნალ „ბიაროზკას“ თანამშრომლებმა.

●

ვაშლის ხეების გვერდით
ჩანს ალუბლები წყვილად.
ხეთა რიგებში მირბის
ხავერდოვანი წვიმა.
ვხედავ — დაგვალულ ბალახს
უცებ უცვალა ფერი;
ვხედავ — უცქერის ბაღი
შეყვარებულის მზერით.
რტოებზე ვერცხლის ფოთლებს
გააქვთ წკარუნი ამო,
ტანაშოლტილი ალვა
ცაში აფრენას ლამობს.
პირდაბანილი ახლად,
მთელი სოფელი ბრწყინავს.
დარბის, ალაღებს ყველას
ხავერდოვანი წვიმა.

აქსანა დანილჩიკი,
მინსკი, 128-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## ნემანი

ჰოი, ნემანო —
ჩემო სიმღერავ,
დილის ცვარ-ნამო უანკარესო,
ჩაუქრობელო შუქურვარსკვლავო,
თავთუხიანი ყანის ალერსო!
ჰოი, ნემანო —
ცაო კამკამავ,
კაშკაშა მზეო,
ზეცის წყალობავ,
წვიმით დამბალი მიწის სილაღევ,
ნაზი ბულბულის ტკბილო გალობავ!
ჰოი, ნემანო —
წრფელო ოცნებავ,
შენი ცისფერი
მზეფი მაპკურე;
მჯერა, დასავლით უახლოესო,
კვლავაც სიხარულს
მრავალს მარგუნებ.

ნატაშა პრონკო,
მოსტოვის რაიონი, ზაპოლიეს
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

●

გულში უჩინრად
ფესვს რომ იკეთებს,
იმ მაღალ გრძნობას
ჰქვია სიკეთე.
იზრდება იგი
და ჩვენც ვიზრდებით
ნათელი სულით,
წმინდა მიზნებით.
ქმნა სიკეთისა —
აი, მთავარი,
ჩვენი სიცოცხლის
აზრი, ჯავარი.
უფრო ხშირ-ხშირად
თუკი ერთმანეთს
მივეშველებით,
მაშინ, ღმერთმანი,
დღე და საათი თითოეული
იქნება მართლაც ზღაპრისეული.
მაშ გაუმარჯოს
ყველაფერს კეთილს!
სხვა რა ვინატრო ამაზე მეტი!

ჰენრიხ კუტასი,
ვილეის რაიონი, ობოდოვოს
რვაწლიანი სკოლა.



ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი
„ლიალკი“ („თოჯინები“)

●

ვიცი, თუ რას ჩურჩულებენ
ხის ფოთლები,
რას ბუტბუტებს ნაკადული,
ვის უგალობს განთიადზე
ციცქნა ჩიტი,
სადმე ტევრში განაბული.
ვიცი, ქარი თუ რას უკრავს
ქნარზე ცაში,
ღრუბლებს შორის მონავარდე,
როგორ ილებს ქერი თავთავს,
სურნელი რომ ასდის პურის,
ან ზამბახი მთვარიანში
რას უამბობს
ჩემი ბაღჩის ამაყ ვარდებს.
და როცა ეს მშობლიური
ხმები მესმის,
ყველაფერი გულს მიხარებს —
ეს ხომ შენი ჰანგებია!
ჰოდა, აბა,
მე უშენოდ როგორ გავძლებ,
სანატრელო,
სათაყვანო ჩემო მხარევ!

ირა დენისიუკი,
ივაცევიჩის რაიონი, დობრუშის
საშუალო სკოლა, VII კლასი.



ვიტებსკელი ნორჩი ტექნიკოსები



# წყალი კაფელის კვადრატზე

ადამ გლობუსი

მახსოვს, ციოდა. მე და გლები დახურული შემინული კარის წინ ვიდექით. თორმეტ-თორმეტი წლისანი ვიყავით და უკვე ორი წელი დავდიოდით ცურვაზე. წვრთნაზე პირველები მოვედით, უფრო სწორად, მე რომ მოვედი, გლები უკვე იდგა ბეტონის საფეხურებზე და იცდიდა, შემინული კარის მიღმა აუზის ვესტიბიული მოჩანდა, ჩაბნელებული და ცარიელი. გლები ყოველთვის პირველი მოდიოდა ხოლმე. არიან ასეთი ადამიანები, მუდამ ადრე რომ მოდიან. დარაჯს ჯერაც ეძინა გარდერობში, გასაშლელ საწოლზე, ისე რომ, ჩვენ ვხედავდით, როგორ ეძინა, თუმცა კი მისი გაღვიძება არც ერთს არ მოგვსვლია აზრად. ზამთარი ის-ის იყო დაიწყო, ალუმინის ნახერხივით წვრილი თოვლი მოდიოდა. სევდიანად გუგუნებდნენ ტროლეიბუსები, სადღაც შორს, გაჩერებაზე, ტრამვაები რეკდნენ. თოვლი ავსებდა ფარნების შუქის კონუსებს. ჩვენ კი ამ თოვლში კიბეზე ვიდექით და მწვრთნელს ვუცდიდით.

— თუ წყალს ადამიანი არ უყვარს, მისგან მოცურავე არ გამოვა, — თქვა გლებმა.

— წყალს რა სიყვარული შეუძლია, — არ დავეთანხმე მე.

— ზოგი ადამიანი ქვასავით არის, წამითაც ვერ გაჩერდება ზედაპირზე.

— კი, არიან ასეთები.

— ჰოდა, წყალს ისინი არ უყვარს.

— არ უყვარს... — გავიმეორე მე. არ მინდოდა მეკამათნა...

— ისინი არც მოცურავეები არიან.

— იქნებ არ მოინდომეს, ანდა უბრალოდ ნებისყოფა არ ეყოთ?!

— შეიძლება, — დამეთანხმა გლები.

ხელები კარგა გვარიანად გამეყინა, როცა ხეივნის ბოლოს მწვრთნელი გამოჩნდა. მოთხილამურის ბაილონის კოსტიუმით ვიცანით. თოვლის ლითონისებრ ბზინვაში გვიახლოვდებოდა, მოქნილი ნაბიჯით მოდიოდა, ისეთი ნაბიჯით, სპორტსმენს სხვებისაგან რომ გამოარჩევს. ისმოდა, როგორ ჭრაჭუნობდა მის ფეხქვეშ ცისფერი ბილიკი, თითქოს პენოპლასტიაო.

— მოდის, — თქვა გლებმა.

— ჰო, — დავეთანხმე და კარის სქელ მინაზე დავაკაკუნე.

გასახდელში ნესტისა და ბათქაშის სუნი ტრიალებდა. ვარჯიში შვიდ საათზე იწყებოდა. კაფელით მოპირკეთებული საშხაპე ღამის განმავლობაში გაშრობას ასწრებდა. კვირაში სამჯერ გლები პირველი რთავდა ლუმინესცენციურ ლამპებს გასახდელში და საშხაპეში. შუქი ლაქებად იღვრებოდა ქათქათა სიბრტყეებზე. გლებს ემაყებოდა, რომ შუქს სწორედ ის რთავდა და არა სხვა ვინმე. მშრალი, განიავებული საშხაპე და გასახდელი ამ შუქზე ნესტიანი და მოლიპული ჩანდა. გასახდელში ჩვენი ჯგუფის დანარჩენი წევრებიც გვიერთდებოდნენ ხოლმე.

დამლაგებელი კარგად გვიცნობდა, მაგრამ მაინც ყოველ შესვლაზე გვთხოვდა საშვს.

ონკანებს მოუშვებდნენ და წყლის კონუსები შიშველი ფიგურებით ივსებოდა. გლები მღეროდა, ის ყოველთვის მღეროდა ხოლმე საშხაპეში. ასე უფრო ადვილია ცივი წყლის ქვეშ დგომა, მაგრამ დიდხანს კი არ მღეროდა, სულ რაღაც ერთ წუთს. ტანი სიცივეს რომ შეეჩვეოდა, ონკანები ასე იკეტებოდა — ჯერ წითელი, მერე ლურჯი, მე მომწონდა ფერთა ეს შეხამება — ლურჯი და წითელი თეთრ ფონზე, იმიტომ, რომ ლურჯი მაინცადამაინც არ აძლევდა წითელს გასაქანს. წყალი მოშხაპუნობდა და მერე შიშინითა და ბუყბუყით ჩადიოდა იატაკში დატანებულ ცხაურში. მე მიყვარდა შხაპქვეშ დგომა და ყურება, როგორ ჩაედინებოდა წყალი ამ სიშავეში. ჩვენ აუზში ჩავდიოდით, კაფელის სლიპინა კვადრატებზე კი კვლავაც ბრწყინავდა წყლის წვეთები.

მახსოვს, როგორ არ გვსიამოვნებდა, როცა ვარჯიშის წინ ექიმი გაგვაფრთხილებდა ხოლმე, წყალში არ მოშარდოთო. „ჩვენ აქ საწყლოსნო სპორტის სასახლე გვაქვს, რაღაც აუზი კი არაო“, — ისე უსვამდა ხაზს სიტყვა „სასახლეს“. გეგონებოდათ, აუზში კი შეიძლებოდა მოშარდვა. არ გვიყვარდა ექიმი, მაგრამ პატივს კი ვცემდით, იმიტომ, რომ უფასოდ გვაძლევდა ხოლმე ვიშნევსკის მალამოს. ფურუნკულებით ვიყავით შეწუხებულები.

აუზში ქლორისა და პალმების სუნი იდგა. მკლავებს მხრებზე შემოვიხვევდით ხოლმე და ვკანკალებდით ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისგან. მინის კარს მიღმა ქალაქი იღვიძებდა, მოშავო-ლურჯი ცის ქვეშ სინათლეების წერტილები ინთებოდა, სამი მომწვანო-მოლურჯო სიბრტყე წვრთნის მოლოდინში ირინდებოდა, რომაულციფრებიანი და ყანგიანისრებიანი მრგვალი ნაცრისფერი საათი წვრთნის დროს ითვლიდა. ორი კვადრატული აუზი ჩვენ არ გვეკუთვნოდა. იმიტომ, რომ ერთი, ნაკლებ ღრმა და შედარებით თბილი, „ლიფსიტებისთვის“ იყო, მეორე, — ექვსი მეტრის სიგრძისა, კოშკურებიანი, — წყალში მხტომელებისათვის. მაგრამ ჩვენი ჯგუფი კოშკურებისკენ მიდიოდა ხოლმე. ერთი მეორის მიყოლებით ავდიოდით ლი-

თონის ცივ საფეხურებზე, ყველას თავისი საყვარელი ადგილი ჰქონდა ამორჩეული. მე სამმეტრიანი ტრამპლინის პლასტიკის ფიცრის დრეკად ბოლოზე ვჯდებოდი ხოლმე. პალმებმა თითქოს კი იხარეს, მაგრამ ქლორის გამო ცუდად იზრდებოდნენ, ეს პალმები ჩვენი ექიმის სიამაყეს შეადგენდნენ. კოშკურიდან პალმების ყურება არც ისე სასიამოვნოა. პალმის ფოთლების მახვილი ბოლოები მოფერფლისფერო-ყვითელი და გაფშეკილი იყო. არც ერთი ჩვენთაგანი არ უყურებდა პალმებს, არც წყალს უყურებდა ვინმე. სიმაღლე შიშის მომგვრელია და ამიტომ უმჯობესია ქალაქს უყურო, გზისპირს ჩაყოლებული ფარნების ჯაჭვებითა და შუქნიშნებით განათებულს.

მახსოვს, როგორ ავედი პირველად ხუთმეტრიან კოშკურაზე და როგორ გადმოვიხედე ძირს. კაფელის კვადრატულ ჩარჩოში მოქცეულმა ცისფერმა სიღრმემ შემაშინა, კიბეზე დავეშვი. პირველად თვალდახუჭული გადმოვხტი და ძლიერადაც დავეხეთქე წყალზე. კოშკურებზე ამპირული შენობების ლავგარდანების ქანდაკებებივით ვიდექით. კარგად ვიცოდით, რომ წყლისთვის არ უნდა გვეყურებინა, და დილის ქალაქს ვუმზერდით. როცა წითელ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი, ფლოსტებში ფეხებწაყოფილი მწვრთნელი საშხაპედან გამოვიდა, ჯგუფმა, თითქოს უბრძანესო, წინ, ცივ სიცარიელეში გადადგა ნაბიჯი. მე ყოველთვის მიკვირდა, რომ ფრენა მაშინაც არ მთავრდება, როცა წყალში ხარ... და ხვდები, რომ ფრენა გრძელდება, ოღონდ სხვა განზომილებაში. გუგუნმა აავსო მინაბეტონის ინტერიერი. წყალი აუზში აქაფდა, აბუყბუყდა.

მოთელვამ უხალისოდ ჩაიარა, ვიცოდით, რომ ორასი მეტრი უნდა გაგვეცურა და ძალებს ვზოგავდით. მწვრთნელი ხედავდა, რომ ვეშმაკობდით, მაგრამ დუმდა, მკერდზე წამზომი უბრწყინავდა.

როცა ხელში მძიმე წამზომი მეჭირა ხოლმე, დრო ადვილი დასაძლევი მეჩვენებოდა, ცარიელი ტრიბუნები კი ძველ რომს მაგონებდა.

მწვრთნელმა ხელები შემართა — ეს იმას ნიშნავდა, რომ მოთელვა დამთავრდა. მე და გლები ტუმბებზე ერთმანეთის გვერდით ვიდექით. ორმოცდაათ-ორმოცდაათი მეტრი უნდა გაგვეცურა ოთხჯერ, სხვადასხვა სტილით. მწვრთნელმა პლასტმასის ბრტყელ სასტვენს ჩაჰბერა და წამზომი ჩართო. პირველ ორმოცდაათ მეტრს ჯგუფი კროლით მიცურავდა, ვიგრძენი, რომ ჩამორჩა გლებს. კროლი ჩემი სტილი არ არის. კროლით ცურვისას პირველი გლები მოდიოდა ხოლმე. გავიგონე, როგორ გუგუნებდა წყალი ჩემს თავთან, მივხვდი, რომ გლებმა მთელი ტანით იგრძნო წყლის სიბრტყე, არსებობს ასეთი სიბრტყე, თვითონვე რომ მიჰყევხარ გამარჯვებამდე, თუ კი იგი იგრძენი. ჯგუფში მხოლოდ მე და გლებმა ვიცოდით ამის შესახებ. საიდუმლოს არ ვმალავდით, უბრალოდ ვერავინ აგიხსნის ამ სიბრტყის რაობას, თუ თვითონ ვერ შეიგრძნობ. ბრუნი მე უკეთ შევასრულე და გლებსაც დავეწიე. ჯგუფი ჯერაც კროლით მიაპობდა ქლორიან წყალს, მე და გლები კი უკვე ზურგზე ვიწექით. ზურგზე ცურვით პირველი მე მივედი.

მწვრთნელი კაფელის ბილიკზე მიმოდიოდა და წამზომს დასცქეროდა. მას მანიკიურიც ჰქონდა და პედიკიურიც და ჩვენ ეს არ მოგვწონდა. მწვრთნელსაც არ ვუყვარდით მე და გლები. იცოდა, რომ ჩვენ ისევ პირველები მოვიდოდით და კარგ შედეგებსაც ვუჩვენებდით, მაგრამ ადამიანი რომ გიყვარდეს, ამისათვის არ კმარა, იგი პირველი მოდიოდეს და კარგ შედეგებს უჩვენებდეს.

შემდეგი ბრუნიც კარგად შევასრულე, მაგრამ არც ბატერფლაია ჩემი სტილი. მერე ვიგრძენი, რომ სიბრტყე, რომელსაც გამარჯვებისაკენ მიჰყავდა გლები, გაქრა. ისე, რომ გლები აღარ მაინტერესებდა. მომეჩვენა, რომ შავი ზოლი აუზის ფსკერზე სულ არ ირხეოდა. ბოლო ორმოცდაათი მეტრი ძლივს გავცურე, კი არ გავცურე, წყალში მოძრაობის მდგომარეობაში გავძელი. კედელს რომ შევეხე და ფსკერზე დავდექი, ხელები ზევით ამომიტივტივდა და ზედაპირზე დალაგდა, წყალი კი ცხელი და ცხიმივით ბლანტი გახდა.

საშხაპეში გლები ჩემს მერე შემოვიდა. ცივი წყლის ქვეშ ვიდექით. ვიცოდით, რომ წყალი ცივი

## სიმღერა წაიღე თან

### ნილ გილევიჩი

თუ გინდა აგშორდეს
ბურუსი კაეშნის
და ვეღარ დაგბუროს მან, —
ყოველგან, სადაც კი
მოგიხდეს წასვლა შენ,
სიმღერა წაიღე თან!

თუ გული ოდესმე
ზღვისაკენ გაგიწევს,
ლურჯ შორეთს
მიანდობ თავს, —
სევდა და ნაღველი
დატოვე ნაპირზე,
სიმღერა წაიღე თან!

ანდა, თუ ტაიგას —
უსიერ-უღრან ტყეს
მიჰყვები და მზეც არ ჩანს, —
გულიდან, ჩანთიდან
დარდი გადმობერტყე,
სიმღერა წაიღე თან!

საყვარელ მეგობარს
როცა ხელს ჩაკიდებ,
რომ ერთად გადავლოთ მთა, —
შავბნელი ფიქრები
ცხრაკლიტულს ჩაკეტე,
სიმღერა წაიღე თან!

თუ მტერი დაეცა
მამულის მთა და ბარს
და მომხვდურს არ ჰქონდეს
თვლა, —

იცოდე, თოფის და
მახვილის მხარდამხარ
სიმღერაც წაიღე თან!

თარგმნა ს. შამფრიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, მაგრამ ვერც კი ვგრძნობდით ამას, შემოვიდა მწვრთნელი და ჩვენი შედეგების ქებას მოჰყვა. მე მას წყლის ჭავლის მიღმა ვუყურებდი და ამიტომაც თავისი წითელი კოსტიუმით ცელულოიდის ტომარას მაგონებდა. წყლის ხმაურში მისი ხმა არ გვესმოდა, უბრალოდ, ვხვდებოდით, რომ გვაქებდა. გავიფიქრე, რომ მწვრთნელმა აუცილებლად უნდა იყიდოს ლურჯი ფერის „ფირმა“ სპორტული შარვალი.

აუზის შემდეგ ზამთრის ჰაერი სასიამოვნოდ გვეღვრებოდა მკერდში. მე და გლები ტყეპარკის ფიჭვნარში მივაბიჯებდით. ზურმუხტისფერ კენწეროებში რუხი სინათლე ატანდა. გარშემო სიცარიელე, სიჩუმე და სიცივე იყო. აუზის მერე ყოველთვის გვშივდებოდა ხოლმე.

სასურსათო მაღაზიაში, ისევე, როგორც ტყეპარკში, ჯერ არავინ იყო. განყოფილებიდან განყოფილებაში დავბორიალობდით. გამყიდველი ქალები ხან ჩვენ გვადევნებდნენ ზანტად თვალს, ხანაც დათოვლილ ქალაქს გაჰყურებდნენ.

— შაქარი ავიღოთ, — თქვა გლებმა.

— რაფინადი? — ვკითხე მე.

— არა, ნატეხი.

— არის რო?

— კი, აგე, იქ არის, — დამანახა გლებმა.

— წამო, ჩეკი ავიღოთ.

— ჯერ უნდა ავაწონინოთ.

ერთი წუთის შემდეგ კი ჩვენ მაღაზიის წინ ვიდექით და ხელში თითო ნატეხი შაქარი გვეჭირა. თოვდა და თოვა ისეთ შეგრძნებას ბადებდა, როცა გინდა უკან მოუხედავად გაიქცე სახლში და მთელი სამყარო უკან მოიტოვო. ხელები გაგვეყინა. შაქრის გემო პირს გვიშუშხავდა. რატომღაც აღარ მომინდა ჭამა.

— შაქარი ყინულს ჰგავს, — თქვა გლებმა.

— მე კი ფიგურულ სრიალს მაგონებს, — ვთქვი მე და შაქარი ჩანთაში ჩავაგდე, იქ, სადაც ცელოფანის პაკეტით საცურაო ტრუსები და პირსახოცი მედო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყინულსა ჰგავს და ციგურებს მაგონებს. მე დავდიოდი ფიგურულ სრიალზე.

— რატომ მიატოვე?

— ჯგუფში ორი ბიჭიღა დავრჩით. ჰოდა, მივატოვეთ. თავიდან ათნი ვიყავით, და ყველამ მიატოვა — ორნიღა დავრჩით. მთელ წელიწადს ჩვენ ორნი დავდიოდით. მერე საერთოდ მარტო დავრჩი და მივატოვე.

— ცურვაზე როგორღა დაიწყე სიარული?

— ჩემთვის სულერთი იყო, რაზე ვივლიდი, სკოლაში მწვრთნელი მოვიდა აუზიდან. მისი სპორტული კოსტიუმი მომეწონა, ავდექი და ჩავეწერე. როცა მკითხა, რა შეგიძლიაო, სკოლის ვესტიბიულის ბეტონის იატაკზე ორი მალაყი გავაკეთე. შენა?

— მე ადრეც ვცურავდი, — თქვა გლებმა.

— სად?

— სმოლენსკში. ჩვენ სმოლენსკში ვცხოვრობდით. დედა ფიზკულტურის მასწავლებელი მყავს. საბავშვო ბაღიდან დავდივარ ცურვაზე... — მერე დაამატა, — უნდა გავანებო თავი.

— შენ ხომ ყველაზე უკეთ ცურავ?! — გამიკვირდა მე.

— მერე რა?



— როგორ მერე რა? შეგიძლია ოსტატიც გახდე.

— არ შემიძლია.

— რატომ?

— არ მაინტერესებს. დედა სპორტის ოსტატია. აი, მას არ შეუძლია აუზის გარეშე, მე კი შემიძლია. ის კი არა, ცურვის გარეშე უკეთესადაც კი ვარ... კაცმა რომ თქვას, შენც კარგად ცურავ... რამდენჯერმე მაჯობე კიდეც.

— მე მარტო ზურგზე ვცურავ კარგად.

ისევ მომინდა ჭამა და შაქარი ამოვიღე. გლებს თითქმის სულ შეეჭამა თავისი ნატეხი. არიან ასეთი ადამიანები, პირველები რომ ამთავრებენ ხოლმე თავიანთ წილ საჭმელს, მაშინ სხვები თავიანთსას აძლევენ, კვლავ თანასწორად რომ გამოვიდეს.

— იცი, ვერასდროს ვერ გაპატიებ, დღეს რომ გამისწარი, — მითხრა გლებმა, როცა თავისი შაქარი სულ შეჭამა.

— შენ საკუთარ თავს ვერ აპატიებ, იმიტომაც დარჩები, მე კი მივატოვებ.

— სერიოზულად?

— ჩემთვის შორია, მთელი ქალაქის გამოვლა მიწევს. ორჯერ უნდა გადავჯდე-გადმოვჯდე, ახალი ბინა მივიღეთ. ერთი საათი დამჭირდება გზაში.

— შეიძლება სწორად იქცევი. აბა, რას გააკეთებ?

მივხვდი, რომ გლებს მოეწონა ჩემი გადაწყვეტილება და წასვლა მომინდა, მაგრამ დავრჩი და ვუთხარი:

— ჩვენს სკოლაში თხილამურების სექციაა და მეც იქ ვივლი.

— რომ თქვი, ზამთარი არ მიყვარსო?

— ზამთარი არ მიყვარს, თორემ გრძელ დისტანციებზე სირბილი ძალიანაც მიყვარს. ჩემი ტროლეიბუსი მოვიდა. კარგად იყავი!

ცურვა მივატოვე, იმიტომ, რომ მე, უბრალოდ, არ მომწონდა ქლორიანი შაქრის გემო, სიცივე და ფურუნკულოზი.

მხატვარი მიხეილ ნონიკაშვილი

თარგმნა მ. გელაშვილმა

## მასწავლებელო, ჩემო კარგო მასწავლებელო



# ჩვენი სკოლის დირექტორი

**ვახტანგ გორგანელი**

ნიკოლოზ ბარათაშვილს უთქვამს: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემისო“. მართლაც ასეა, მით უფრო, სკოლაში გატარებულ წლებზე ითქმის ეს, წლებზე, რომელთა მოგონება ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევს. ან კი როგორ დაივიწყებ, როცა სკოლა შენი ცხოვრების ნაწილია, როცა შენ იქიდან მოდიხარ და შენი ცხოვრებაც მისი ფესვებით საზრდოობს. ასეა ჩემთვის ქ. თბილისის ლენინის რაიონის 31-ე (ახლანდელი მე-10) საშუალო სკოლა.

მართლაც გამორჩეული სკოლა იყო. მასწავლებლები მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ, სკოლაში თუ სკოლის გარეთ მასწავლებელი მასწავლებელი იყო, მოსწავლემ კიდევ თავისი ადგილი იცოდა. ახლაც თვალწინ მიდგანან: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მუდამ დაუმცხრალი მიხეილ მესხი, ფიზიკის მასწავლებელი არჩილ ყიფიანი, მეათე კლასამდე ჩვენი დამრიგებელი; ან განა შეიძლება არ მახსოვდეს რუსული ენის მასწავლებელი მარიამ ედილაშვილი, მათემატიკისა — გაბრიელ საბაშვილი, ისტორიისა — მერი კუტალაძე... ყველა კარგი იყო და ამ შესანიშნავ კოლექტივს სათავეში ედგა პატივცემული ანდრო სიმონია, რომლის სიტყვა სკოლაში კანონი იყო, საქმე კიდევ — ამ კანონის ბეჭედი.

მე ახლაც მიკვირს, ბატონო ანდრო, იმ ზღვა ბავშვებში თითოეული მოსწავლის სახელსა და გვარს როგორ იმახსოვრებდით. კლასში რომ შემოხვიდოდით და თუ მერხთან ბავშვი არ იჯდა, ჟურნალში ჩაუხედავად დაასახელებდით გვარსა და სახელს, რატომ არ არის გაკვეთილზეო, მოიკითხავდით. მოსწავლეებს გვაოცებდა თქვენი ყურადღება ბავშვების მიმართ. გახსოვთ, ბატონო ანდრო, კიბეზე ამოვდიოდი ერთხელ, შემაჩერეთ და შეშინებულმა მკითხეთ:

— რა დაგემართა, ვახტანგ, რაღაც არ მომწონს შენი ფერი, აბა, წამოდი, ექიმს განახოო.

ექიმმა სიცხე გამისინჯა, ორმოცს უჩვენებდა თერმომეტრი, თქვენ მკერდში ჩამიკარით, რად წამოხვედი სახლიდანო, წყრომით მითხარით და იმ გაწყრომაში მე მამის გულისტკივილი ვიგრძენი. მერე ბავშვებს მიუბრუნდით, სახლში წაიყვანეთო.

— სახლში არავინა ჰყავს, პატივცემულო დირექტორო, მარტოა!

თავზე ხელი გადამისვით, მერე მკითხეთ, მართალიაო? მე პასუხის ნაცვლად ტირილი დავიწყე.

ჩემს ციდა ოთახში დღე და ღამე ბავშვები მორიგეობდნენ და თქვენი მზრუნველი ხელის სითბოს ყოველ წუთში ვგრძნობდი. ერთი თვე ვიწექი, კარგად რომ გავხდი და სკოლაში წამოვედი, თქვენ შესასვლელი კარების წინ იდექით და როგორც კი დამინახეთ, მოხვედით, ხელი ჩამომართვით, ქოჩორი მომიწიეთ და კისერზე შემომაჭდეთ ხელი. მადლობა მინდოდა მეთქვა, მაგრამ მოწოლილ გრძნობებს ვერ მოვერიე, იმ წუთას თქვენზე დიდი კაცი არ მეგულებოდა ქვეყანაზე.

გახსოვთ, ბატონო ანდრო, მესამე დღეს გამიძახეთ, გაკვეთილი მკითხეთ, ოთხი დამიწერეთ, მაშინ, როცა სამი მეკუთვნოდა. მე წონასწორობა დამერღვა, გავბედე და გითხარით, არ მეკუთვნის-მეთქი.

— ამ ოთხიანს მიტომ გიწერ, რომ ხვალ გაკვეთილი ხუთზე ჩამაბაროო.

მეორე დღეს მარტო მე კი არა, მთელმა კლასმა ხუთზე იცოდა გაკვეთილი. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ცალკე გამიხმეთ:

— ხვალ ძერჟინსკის კლუბში მოსწავლეთა საქალაქო შეკრებაა, ჩვენი რაიონის სახელით შენ უნდა გამოხვიდე სიტყვით. თუ ხვალაც ხუთი მიიღე, კაცი ხარ!

წავედი შინ, მთელ ღამეს ვვარჯიშობდი, სათქმელს ვიმეორებდი.

მეორე დღეს, როგორც გამაფრთხილეთ, ოთხ საათზე გამოვცხადდი პიონერთა ოთახში. თქვენ შემოხვედით, ქაღალდში გახვეული რაღაც გეჭირათ ხელში, გამომიწოდეთ, ჩაიცვი და წავიდეთო. ახალი ფეხსაცმელი იყო. დავიბენი, მადლობაც ვერ მოვახერხე, მაპატიეთ, ახლა მაინც მათქმევინეთ: გმადლობთ!

ბატონო ანდრო! ერთხელ მე გაკვეთილი არ ვიცოდი, და ვასილ ჯალაბაძე მკარნახობდა, დატუქსეთ იგი. თუ ასე გული გეწვის მეგობარზე, მისულიყავი მასთან სახლში და გაკვეთილი ერთად მოგემზადებინათო. ჯალაბაძემ თავის მართლება დაიწყო, მე რა შუაში ვარო. ახლა იმას ჰკითხეთ. გაკვეთილი ბრწყინვალედ იცოდა, მაგრამ დღიურში მაინც სამიანი ჩაუწერეთ, ამას იმიტომ გიწერ, მეგობარს ამ საგანში უჭირდა, შენ კი არ მიეხმარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანონოდ ბავშვს არ დასჯიდით, არც დაუმსახურებლად მიეფერებოდით, ეს იცოდნენ ბავშვებმა და ამიტომაც შენიშვნასაც უსიტყვოდ იღებდნენ. თუ ვინმე გაჯიუტდებოდა, ისევ თანაკლასელი აძლევდა შენიშვნას, სწორი არა ხარო. თქვენ ეს გახარებდათ. ჩვენი სკოლის ბავშვები მართლაც რომ გამოირჩეოდნენ — თავიანთი სიბეჯითითაც და ყოფაქცევითაც... ვაი, რომ იმ მშვენიერი წლების ეშხი და სილამაზე ომმა აწეწ-დაწეწა, ვაი, რომ ბევრი ახალგაზრდა იმ ჩვენი თაობიდან ვეღარ დაუბრუნდა თავის ოჯახს. საქმედ ვერ აქციეს ბიჭებმა ის ოცნება, რომელსაც სამშობლოს საკეთილდღეოდ გულში ეფერებოდნენ...

წლებით დაიტვირთეთ, ბატონო ანდრო, მაგრამ ახალგაზრდობის წინაშე ვალმოხდილ ადამიანს წლები ვერაფერს დააკლებს. მადლიერების გრძნობა უბერებელია.

ვიცი, ამ ჟურნალის ნახვა, თვალზე სიხარულის ცრემლს მოგგვრით, იმ განვლილ წლებში გადაგახედებთ, იმ ოქროსფერ ზარსაც გაგახსენებთ, სწავლის დაწყების პირველ დღეს თქვენ რომ შემოჰკრავდით ხოლმე და ბავშვები ჟივილ-ხივილით კლასებში განაწილდებოდნენ. ახლა ის ბავშვები ცხოვრების ჭაპანს ეწევიან, ისინი ყველგან არიან, კეთილსინდისიერად იხდიან თავიანთ კაცურ მოვალეობას. მათაც სამშობლოს სიყვარულში თანდათან ჭაღარა ემატებათ, ეს არის კანონი სიცოცხლისა და პატიოსანი ცხოვრებისა, რომლის დროშის ქვეშაც თქვენი აღზრდილები თავს არასოდეს შეირცხვენენ, ბატონო ანდრო!

## ეს მოგუგუნე ზარი

ქუჩა ვერ იტევს ღიმილს
ეზო — ვარდების შრიალს.
მთრთოლვარე გულებს შორის
სიმი გაუბამს ნიავს.
ერთად ილვრება ირგვლივ
ფერი ოქროს და ვერცხლის
და ეკიდება ზეცას
ყელსახვევების ცეცხლი.
შენ კი სარკმლიდან უმზერ
და ვინ რა იცის ახლა,
ამ დღეს, ამ საათს, ამ წუთს
რამდენი ღელვა ახლავს,
ვინ იტყვის, მთვარის გარდა,
წუხელ რად გატყდა ძილი,
პირველი ზარის ხმაზე
რა ურუანტელი გივლის.
ქრება სიბერე უცებ,
წლებიც ქრებიან თითქოს.
რა ამოწურავს მართლაც
სულში დაგროვილ სითბოს.
იმ შენს ღვაწლსა და ამაგს
იებად გაშლის ქარი,
ეს ვარდისფერი დილა,
ეს მოგუგუნე ზარი.

ბავშვის უმანკო გულის
მესაიდუმლე იყავ
და ფერუცვლელად დარჩა
შენი საქმე და სიტყვა.
და იმ უჭკნობი ეშხით,
მომავლის გზებს რომ ჰკვალავს,
სკოლის კარებთან ბავშვებს,
მგონია ხვდები კვლავაც.
და მესმის სიტყვა შენი,
დედის გულივით თბილი,
რომ უნდა ვიყოთ ქვეყნის
სახელოვანი შვილი.
რომ უნდა ვედგეთ ფარად
ამ ჩვენს ქართველურ ნამუსს,
ამ ლაჟვარდოვან ზეცას,
ამ სათაყვანო მამულს.
და რაც არ უნდა გვეცვას
ტანზე, ფარჩა თუ ფლასი,
უნდა ვიცოდეთ მუდამ
ალალი ლუკმის ფასი...
გმადლობთ, ბატონო ანდრო,
გულს რომ იმედით ფერავ.
და ბევრს მეტყველებს ახლაც
შენი სკოლისკენ მზერა.



# ჭოლო

ნინო ბეზარაშვილი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

მოთხრობა

ბევრი ამხანაგი მყავს სკოლაში, ჩვენს უბანში. ყველა მიყვარს, კარგები არიან, მაგრამ მე მაინც ანო მირჩევნია. ჩემი სახლიდან ცოტა მოშორებით ცხოვრობს, საურმე გზის პირას, პატარა, კოხტა სახლში. უწყინარი, სანდომიანი, დიდრონი თაფლისფერი თვალები გრძელი წამწამებით აქვს შემოჯარული, მაჯის სიმსხო ნაწნავებიც მოხდენილად აყრია მხრებზე. ერთ სკოლაში ვსწავლობთ მე და ანო, მეექვსე „ა“ კლასში, მერხზედაც გვერდიგვერდ ვსხედვართ.

გაკვეთილების შემდეგაც ხშირად ვართ ერთად. ხან ის მოდის ჩემთან, ხან მე მივდივარ ანოსთან. ამოცანებს ამოვხსნით, პასუხებს შევამოწმებთ და ახლა ეზოში ვთამაშობთ. ანოანთ დიდი გასადევარი აქვთ. ამიტომ ქათმები და ინდაურები ბლომად ჰყავთ. ამას წინათ ერთი საფურე ხბოც გამოჩნდა მათ ეზოში. მთლად თეთრია, მხოლოდ შუბლზე აქვს შავი ნიშანი, პატარა რუკასავით მოხაზული. თვალს ვერ ვაშორებ ხოლმე. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ლამაზი ხბო არ მინახავს.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

თურმე ანოს მამას — ნინია ძიას გაღმელმა ძმობილმა აჩუქა. რომ მოიყვანეს, სულ ზმუოდა, არ ვიცი, დედას ნაღვლობდა, თუ თავის ძველ პატრონებს.

ხბოს ბოჩო დაარქვეს, კარგად უვლიდნენ, საჭმელ-სასმელს არ აკლებდნენ, ეფერებოდნენ, ფხანდნენ. ის კი არა, ანო სველი ტილოთი ჩლიქებსაც გაუპრიალებდა ხოლმე. ბოჩო მეც ძალიან მიყვარს; ისე არ წავალ ანოსთან, რომ ერთი ბღუჯა ქორფა ბალახი არ გავიყოლო. დრუნჩზე მივადებ და ვეუბნები, აბა, ბოჩო, ერთი შენებურად შეუღლაპე! ისიც მოიგდებს კბილებში და გემრიელად ახრამუნებს.

დიდი იმედი აქვს ბოჩოსი ანოს ძმას — კოტეს, ყველას უმტკიცებს, რომ ბოჩო საუკეთესო ჯიშისაა და, როცა გაიზრდება, ბევრ მსუყე რძეს მოიწველის. ალბათ იმიტომაცა ჰყავს დიდ პატივისცემაში; სადაც ყველაზე კარგი, ღალიანი ბალახი ეგულება, სწორედ იქ წაიყვანს ხოლმე მოსაძოვებლად. ეზოშიც ხომ უყრის და უყრის ახალ-ახალ ბალახს.

მალე გაიზარდა ბოჩო, სარქებოზე ორი მოზრდილი კოპიჭი დააჯდა, ბეწვიც დაუპიწკინდა, მოშინაურდა კიდეც; ხან ეზოში ეძინა, ხან ბალახს შეექცეოდა მშვიდად. თითქოს ეზოდან სხვაგან წასვლა არც უნდოდაო. ვინ იფიქრებდა, თუ ანოს ასეთ შიშს აჭმევდა.

ერთხელ, ის იყო ჩემს და-ძმებთან ვისაუზმე და ახლა ცხელ წყალში ჩაის ჭიქებსა და თეფშებს ვალაღლაღებდი, რომ უცბად ანოს ხმა შემომესმა. მაშინვე გარეთ გავვარდი და აივნიდან გავიხედე. არავინ ჩანდა, ისევ შინ უნდა შევსულიყავ, ვიფიქრე, ალბათ მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ კიდევ გაისმა ანოს ხმა. ახლა გამოჩნდა კიდეც, საურმე გზაზე პატარა ბიჭს რაღაცას ეკითხებოდა.

— რა იყო, ანო? — გადავძახე აივნიდან.

— ხბო დამეკარგა, მელო, ხბო, აქეთ არ გამოუვლია? — მეკითხება შეშფოთებული.

— არა, ანო, სად იყო, როგორ დაიკარგა?

— ეზოში, ღობის ძირას ბალახსა ძოვდა, გოგო, და გაქრა, საით წავიდა, თვალი ვერ მოვკარი.

— სად წავიდოდა, აქ იქნება სადმე, — ვამშვიდებ ანოს, მაგრამ ის არა მშვიდდება, ისეთი შეწუხებულია, ლამის იტიროს.

— აბა სადღა იქნება, მელო, მთელი უბანი შემოვიარე და არსად არ არის! — მეუბნება დაძმარებული.

— ნუ გეშინიან, გოგო, ერთხელაც ხომ დაგეკარგათ და იპოვეთ, აღარ გახსოვს? — კიდევ ვცადე ანოს დაშოშმინება.

— ის, რომ მოიყვანეს, მაშინ იყო, მელო, სანამ ჩვენს ეზოს შეეჩვეოდა, აგე, მანდ, ხევში ჩასულიყო, ჩემი ძმა გაიქცა და მოიყვანა. ახლა შინ არავინ არის, დილას ყველანი ვენახში წავიდნენ, ბოჩო კი მე ჩამაბარეს.

— ჰოდა, ახლაც იქ იქნება, წავიდეთ და ჩვენ მოვიყვანოთ!

ანოს მოეწონა ჩემი აზრი: „წავიდეთო“, — მითხრა. კიბე ჩავირბინე, ჯერ ბოსტანში შევედი, იქ დედაჩემი ხახვსა მარგლავდა, ვუთხარი: „ანოსთან ერთად ხევში მივდივარ“



-მეთქი და მერე ანოსთან მივირბინე.

მალე პატარა დაღმართი ჩავიარეთ. ხევში რომ ჩავედით, ფერდაზე ნაცნობი ქალი გამოჩნდა, ინდაურებს მიერეკებოდა წკეპლით.

— ნინა ძალო, აქეთ ხბოს ხომ არ გამოუვლია, თეთრია, მთლად თეთრი, მარტო შუბლზე აქვს პატარა შავი ნიშანი. რქები ჯერ არ ამოსვლია, მხოლოდ კოპიჭებივით ატყვია. — სხაპასხუპით აუწერა ანომ ბოჩო.

— არ დამინახავს, შვილო, მაგრამ ნუ გეშინიან, რა დაკარგავს, აქეთ თუ იყო, შეიძლება წყალი მოსწყურდა და ზემოთ შაშვის წყაროზე წავიდა.

— შაშვის წყარო სად არის, მე რომ არ ვიცი?

— მანდვეა, ქა, გეოლოგების საწყობის ზევით, ფერდას რო ასცდები.

მეტი რა გზა გვქონდა, წავედით შაშვის წყაროსკენ. მალე გამოჩნდა ხევის მაღლა, შიფერგადახურული, დიდი ქარახინა შენობა. ეს იყო გეოლოგების მანქანების საწყობი. გეოლოგებს ხშირად ემდუროდნენ კიდეც სოფელში: იქაურობა აანაოხრეს, ხევი ხევს აღარა ჰგავს, მთლად ამოავსეს რაღაც-რაღაცებითო. თურმე მართლები ყოფილან — ხევში ძლივს მივიკვლევდით გზას. რა არ ეყარა შიგ, მანქანების ფარები, ძველი უვარგისი მოტორები, მთლიანად დაჭეჭყილი ავტომანქანის ძარები, დიდრონი „სიმკარები“, კარკასები, ვინ მოთვლის კიდევ, რამდენი რამე გვედებოდა ფეხებში. ზევით და ზევით კი სუფთა იყო ხევი, მარტო ხვარხვარი ქვიშა ეყარა და ჩვენს ფეხქვეშ სულ ხრაშახრუში გაუდიოდა.

მივდივართ, გაფაციცებით ვიყურებით აქეთ-იქით, ვეძებთ ხბოს, თან ვეძახით: ბოჩო, ჰაი, ბოჩო, მაგრამ სად არის ბოჩო!..

ხევში გრილოდა, ნაპირებზე წამოზრდილი გარეული თხილის ტოტები გვიჩრდილავდა. ფერდობიდან ხანდახან მოისმოდა ნინა ძალოს ხმა: „პიო, პიო, პიო"... — მიჰკიოდა ჩურჩუტ ინდაურებს.

უცბად რაღაც ბღლარძაბღლურძიც გაისმა და ტყეში შეფარებული ბილიკიდან თვალებბრიალა ძროხა გადმოხტა, იმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ბოლოს გამხდარი, შუბლზე თმებჩამოფხატული ძროხების პატრონი კუკურაც გამოჩნდა.

შეგვეშინდა, წივილ-კივილით ხევის მეორე მხარეს გავიქეცით.

— რა იყო, რა გაყვირებთ, ჯერ საქონელი არ დაგინახავთ? რა პარიჟიდან თქვენა ხართ ჩამოსულები, აქ არ დაიზარდენით? — გაგვიჯავრდა კუკურა.

— შეგვეშინდა და... — თავი ვიმართლე მე, — განა ძროხები არ გვინახავს, მაგრამ ეგენი ნადირებივით გამოცვივდნენ ტყიდან.

— ჰოდა, როცა ეგრე გეშინიათ, ტყეში რაღა მოგარბენინებთ მარტოკინებს?

— ხბო დავკარგეთ, მაშ არ მოვძებნოთ? — წყენით უთხრა ანომ.

— იცი, რას გეტყვი? შენახვის თავი რო არა გაქვს, არც უნდა იყოლიო! — ერთხელ კიდევ შემოგვიტია კუკურამ და გამოეკიდა აქეთ-იქით გაქცეულ ძროხებს. ეტყობოდა, ვერ იერშიებდა ძროხებს და იმათგან შებეზრებული ჩვენ გაგვჯავრდა.

განვაგრძეთ გზა. გეოლოგების საწყობს გავცდით, მერე, ნინა ძალომ რომ ფერდა გვითხრა, ისიც უკან მოვიტოვეთ და უცბად დაბურულ, ჩაკუნაპეტებულ ხევში შევედით. აქ ციოდა, მკლავებზე ტაო დაგვაყარა. ბნელოდა კიდეც, პირველად ვერა დავინახეთ რა, მაგრამ თვალი მალე შეეჩვია სიბნელეს და ყველაფერი კარგად გავარჩიეთ. ხევის ნაპირებიდან მაღლა ასული ღიჭი და სვია ერთმანეთში ისე ჩახლართულიყო, რომ მზის სხივს ძირს არ უშვებდა. იმიტომ იდგა ხევში ისეთი სიბნელე, — უდიერი უდაბურება იყო: იქაურობას სულიერის ხმა არ სწვდებოდა, მხოლოდ წყარო ჩუხჩუხებდა ხევის პირას, შუშვის წყარო. შადრევანივით ამოსჩქეფდა მიწიდან, მერე იქამდე მიდიოდა, ხევში რაღაცები რომ ეყარა და ისევ მიწაში უჩინარდებოდა.

ახლოს მივედით, ანო დაიხარა, წყალი დალია. მეც დავლიე, ცივი იყო, ძალიან ცივი. კბილები მთლად დამაძრა. წყაროს გვერდით, ბექობის ძირას დიდ ბრტყელ ქვაზე ცოტა მომცრო ქვა იდო და კიბის საფეხურებს მიაგავდა. იქვე კლდეში რაღაც გამოთხრილი მოჩანდა. ქვის საფეხურები ავირბინე, ბექობზე ავედი, ანოც მომყვა. ბექობიდან უფრო კარგად მოჩანდა გამოთხრილი, თუმცა გამოთხრილი კი არა, ჩემი აზრით, გამოქვაბული იყო, კარგა მოზრდილი გამოქვაბული.

— იქნებ შიგ არის ბოჩო? მოდი, შევიდეთ, — ვეუბნები ანოს ჩუმად, თითქმის ჩურჩულით. რადგან ისეთი მიყრუებული ადგილია, რომ ხმამაღლა დალაპარაკება ვერ გაგვიბედია, თითქოს ჩვენივე ხმისა გვეშინია.

— ვინ იცის, მელო, თავისი ბოსელი ეგონა და მართლა შიგ შევიდა, — ჩურჩულითვე მითხრა ანომ. ორივეს ძალიან გვინდოდა გამოქვაბულში შესვლა, მაგრამ ვყოყმანობდით. წავიდოდით, ბექობზე შეფენილი ბუჩქების ტოტებს გადავწევ-გადმოვწევდით, მივუახლოვდებოდით გამოქვაბულს და ისევ გამოვბრუნდებოდით. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედეთ და შევედით. ისე მოგვეწონა გამოქვაბული, რომ შიში გაგვეფანტა. გაბედულად მივათვალიერ-მოვათვალიერეთ ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ბოჩო არა ჩანდა. დავრწმუნდით მე და ანო, რომ ბოჩო არც აქ იყო. წასვლას მაინც არ ვაპირებთ: ვდგავართ და ვათვალიერებთ იქაურობას. მართლაც რა კარგი დასათვალიერებელია ყველაფერი, ბოჩოს დარდი რომ არა გვქონდეს!.. — ვამბობ გულში.

გამოქვაბულში რაღაცნაირი სიჩუმე და იდუმალება დგას. მაღლიდან ხისა თუ ბუჩქების ფესვები ქვემოთ ჩამოზრდილა. ზოგი მსხვილია, ზოგიც ძაფივით წვრილი. ჭერი ერთგან ჩამონგრეულია, იქიდან კარგა მოზრდილი ცის ნაჭერი მოჩანს. ერთგან კიდევ მზის სხივები ჩამოჭრილან. სიბნელე ცოტა ამით მკრთალდება გამოქვაბულში, თორემ შიგ ალბათ უკუნეთი იდგებოდა. აქ ყველაზე კარგია ის, რომ გამოქვაბულის თიხის კედლები წვრილ-წვრილი კირქვებით არის მოოჭვილი და ვარსკვლავებივით ანათებს, პირველად ცარცი გვეგონა, ნამდვილი ცარცი, ვიფიქრეთ, სკოლაში გამოგვადგებოდა, და ნელ-ნელა გამოძრობა დავუწყეთ, მაგრამ ერთიც ვერ გამოვაძრეთ, სულ თითებში ჩაგვეფხვნა.

ვერ ვიტყვი, როდემდე ვიქნებოდით იქ, ანოს რომ ხმა არ ამოეღო.

— მელო, ვინ იცის, იქნებ ეს გამოქვაბული კი არა, დათვის ბუნაგია. — მითხრა ხმის კანკალით.

დათვის ხსენებაზე შემაჟრჟოლა. აქამდე სულ არ მიფიქრია ამაზე, ახლა კი მომეჩვენა, თითქოს გამოქვაბულში მართლაც რაღაც ცხოველის სუნი იდგა. ამას ისიც დაერთო, რომ ჩამონგრეული ჭერიდან უცბად ქარი შემოიჭრა, ქვემოთ ჩამოკიდებული ფესვები ერთიანად შეარხია და მიწის წვრილ-წვრილი გორახები წვიმასავით წამოვიდა. შიშისაგან აბნეულები ფხაჭაგლეჯით გამოვცვივდით გარეთ. როგორ გავცდით ჩაბნელებულ ხევს, ვერ გავიგეთ. გონზე რომ მოვედით, მზეში, სინათლეში ვიდექით. აქ აღარა ციოდა, აღარც უდაბურება იგრძნობოდა, ფერდობიდან ისევ მოისმოდა ვიღაც-ვიღაცების ლაპარაკი.

— საით წავიდეთ, მელო, სადღა მოვძებნოთ ბოჩო? — თქვა ანომ, — მე ადამიანი ვარ? ერთი ხბო ჩამაბარეს და იმასაც ვერ მოვუარე! საღამოზე რა პასუხი გავცე ჩვენებს? მერე როგორ შემეხვეწნენ, პირდაპირ სული ჩამბერეს: „კარგად მოუარე, წყალი არ მოაწყურო, ეზოდან გარეთ არ გაუშვაო".

— წამოდი, ანო ახლა ქვევით ჩავყვეთ ხევს, სოფელში ჩავიდეთ, იქ-

ნებ იქ უფრო იყოს, — ვუთხარი ანოს.

— წავიდეთ, მელო, მაგრამ რა ვიცი, იქ კი იქნება? — უიმედოდ თქვა ანომ.

ამ ლაპარაკში ვართ და ფეხის ხმა არ მოისმა! ქვიშის ხრაშახრუშით ვიღაცა მოდიოდა ზემოდან. მაშინვე იქით გავიხედეთ, საიდანაც ჩვენ გამოვედით წეღან. ჯერ არავინ ჩანდა, ცოტა ხანს შეწყდა კიდეც ფეხის ხმა, მერე ისევ გაისმა და დაბურული ხევიდან ვიღაც მაღალი ბიჭი გამოვიდა. ცოტა რომ მოგვიახლოვდა, ვიცანით. გიგი იყო, ჩვენს სკოლაში სწავლობდა, მერვე კლასში. მოდიოდა გიგი და თან მოჰყავდა კისერზე მხრალგამობმული თეთრი ბოჩო. ღონივრად ეწეოდა ხბოს, ეჯაჯგურებოდა, ეტყობოდა, ბოჩო უცხოობდა ბიჭს და არ მოსდევდა.

ამას კი არ მოველოდით, გახარებულები ადგილზე ვეღარ გავჩერდით, გავიქეცით და წინ შევეგებეთ, ბიჭმა გაგვიცინა, გამოაკრიჭა მსხვილი სავაშლე კბილები.

— გიგი, როგორ იპოვე ჩვენი ბოჩო, სად იყო? — ერთმანეთს აღარ ვაცდით სიტყვას მე და ანო.

— ზემოთ დავიჭირე, შაშვის წყაროს ზემოთ, ფერდობზე. ისეთი ბალახისთვის მიეგნო, სულ ერბო სდიოდა.

კისერზე ვეხვევით ხბოს, ვესიყვარულებით, ისიც კუნტრუშობს, ჩვენი დანახვა ძალიან უხარია.

— შენ რაღა გინდოდა ტყეში, გიგი? — ეკითხება ანო.

— ხევში ვიყავი, ნინა ძალოს რომ ჰკითხეთ: „ბოჩო ხომ არ დაგინახავსო“, გავიგონე და მეც საძებრად წავედი ზევით. მანამდე კი ხევში ჩაყრილ რაღაცებს ვათვალიერებდი. სკოლაში ხომ გვავალებენ ხოლმე ჯართის შეგროვებას, ბარემ აქედან წავიღოთ, ჯართიც შეგროვდება და ხევიც გალამაზდება. იცით, წინათ რა ყოფილა აქაურობა? თურმე ის შაშვის წყარო ხევში მოდიოდა, ქვიშაში მიიკვლევდა გზას ჩუხჩუხით. მერე იმოდენა რამე რომ ჩაყარეს, წყალი დაიკარგა! — სინანულით ამბობდა ბიჭი.

გაკვირვებული შევყურებდით გიგის, გვახსენდებოდა, ორიოდე წლის წინ როგორ გვესროდა თოვლის გუნდებს სკოლაში მიმავალ პატარა გოგონებს, როგორ გვიმიზნებდა თმებში ძირხვენის ბურძგლია ყვავილებს. ასე ვიცნობდით გიგის. თითქოს შემაწუხებელი და აბეზარი იყო. რა კარგი ბიჭი კი ყოფილა! სიტყვებს ვერ ვპოულობთ მე და ანო, რომ გიგის მადლობა გადავუხადოთ. მხოლოდ ვუყურებთ გახარებულები.

მივდივართ. და არ ვიცით, რა უფრო ძალიან გვიხარია. ბოჩოს პოვნა თუ ის, დღეს ხევში ასეთი კეთილი გულის ბიჭი რომ შემოგვხვდა.

ნელ-ნელა ჩავიარეთ ხევი, ჩვენს გადასახვევთან მივედით. გიგიმ ანოს გადასცა ბოჩოს კისერზე გამობმული მხრალის ბოლო და უთხრა:

— აღარ დაკარგო, გოგო, თორემ მუდამ კი ვეღარ იპოვი, ცოტა ზევით თუ წავიდა, მორჩა, დაემშვიდობე...

გიგი ქვიშის ხრაშახრუშით გაუყვა ხევს. მე და ანო კი ისევ იქ ვიდექით. გავყურებდით ხევში მიმავალ ბიჭს და გვეამაყებოდა, რომ ეს კარგი ბიჭი ჩვენი სკოლის მოსწავლე იყო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარკმელი კოსმოსში

არჩილ გეთანელი,
პროფესორი

ორბიტული სადგური არის დედამიწის, მთვარის ან სხვა პლანეტის ირგვლივ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოძრავი კოსმოსური აპარატი. არსებობს პილოტირებული (კოსმონავტების ეკიპაჟით) და ავტომატური რეჟიმით მოქმედი ორბიტული სადგურები. მათი დანიშნულებაა სხვადასხვა სამეცნიერო და ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა (კოსმოსური სივრცის, აგრეთვე, დედამიწისა და სხვა პლანეტების კოსმოსიდან შესწავლა, კოსმოსური ფრენის პირობებში ახალ, განსაკუთრებული თვისებების მქონე მასალათა და ნაკეთობათა მიღება, ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის პირობების ზეგავლენის გამოკვლევა და ა. შ.) გარდა ამისა, ორბიტული სადგურის გამოყენება შეიძლება მზის სისტემის სხვა პლანეტებზე გასამგზავრებელი დიდი ზომისა და მასის კოსმოსური ხომალდების ასაწყობად.

არსებობს თავად ორბიტული სადგურის აწყობის ორი ხერხი. პირველ შემთხვევაში სადგურს მთლიანად დედამიწაზე აწყობენ და ორბიტაზე გააქვთ რაკეტა-მატარებლის მეშვეობით, მეორე შემთხვევაში რამდენიმე რაკეტა-მატარებლით ორბიტაზე გააქვთ სადგურის ელემენტები, სექციები, ბლოკები, სადგური კი მათგან დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე აიწყობა.

ორბიტული სადგურების შექმნის შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დაასაბუთეს თეორიული კოსმონავტიკის ფუძემდებლებმა, საბჭოთა მეცნიერებმა კ. ციოლკოვსკიმ და ი. კონდრატიუკმა, ასევე, რიგმა უცხოელმა მეცნიერებმა.

ორბიტული სადგურის ყველაზე ხელსაყრელი გეომეტრიული ფორ-

მაა სფერო ან ცილინდრი. ასეთ სექციებს მოცემული სასარგებლო მოცულობისათვის მინიმალური მასა აქვთ, მათგან აწყობილ სადგურს კი შეიძლება ნებისმიერი კონფიგურაცია ჰქონდეს.

კოსმოსური ფრენის პერიოდი ადამიანისათვის არაკომფორტული გარემოა. რადიაცია, ვაკუუმი, ტემპერატურების დიდი სხვაობა, უწონობა...

ეს ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი მავნე ფაქტორების მხოლოდ არასრული ნუსხაა. ვაკუუმთანაა დაპირისპირებული ჰერმეტული კაბინა, რომელშიც შენარჩუნებულია დედამიწის ატმოსფერო. რადიაციული დასხივებისაგან ეკიპაჟს იცავს სადგურის გარსი. ტემპერატურული სხვაობის ზეგავლენის ასაცილებლად გამოყენებულია ალუმინიზებული ორგანული ფისის მრავალფენიანი იზოლაცია. აქ ყველაზე რთული პრობლემაა უწონობის მავნე ზეგავლენისაგან ადამიანის ორგანიზმის დაცვა. თანაც ჯერჯერობით არც ის არის გარკვეული, შეუძლია თუ არა ადამიანს ხანგრძლივად უწონობის მდგომარეობაში ყოფნა. არც ის არის დადგენილი, არსებობს თუ არა ამ ხანგრძლივობის ზღვარი. თუ აღმოჩნდა, რომ ადამიანს უწონობის მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნა არ შეუძლია, უნდა შეიქმნას მიზიდულობის ხელოვნური ველი. კ. ციოლკოვსკიმ ჯერ კიდევ 1895 წელს გამოთქვა აზრი სიმძიმის ხელოვნური ძალის შექმნის საჭიროების შესახებ. შესაძლებელია, შევიმუშაოთ ბორბლის მსგავსი ორბიტული სადგური, რომელიც თავისი ღერძის გარშემო იტრიალებს. მბრუნავი სადგურის შიგნით ყველა საგანი, ცენტრიდანული ძალის ზეგავლენით, გარე კედელს მიეყრდნობა. ეს გარე კედელი შეიძლება იატაკად ჩავთვალოთ. ასეთი ხელოვნური სიმძიმე ნამდვილისაგან არაფრით განსხვავდება.



# ორბიტული სადგურები

როგორ უზრუნველვყოთ სიცოცხლის პირობები ორბიტულ სადგურზე?

დღე-ღამის განმავლობაში ადამიანს სჭირდება 1200 გრამი ჟანგბადი, 600 გრამი წყალგაცლილი პროდუქტი, 2200 გრამი წყალი, 20 გრამი მარილი, სხვადასხვა ვიტამინი. გარდა ამისა, სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენური საჭიროებისათვის — დაახლოებით 2000 გრამი წყალი. ამ პრობლემის გადასაწყვეტად სადგურზე უზრუნველყოფენ ჰაერისა და წყლის გაწმენდას, ხოლო კვების პროდუქტები და სასმელი წყალი






ეროვნული ბიბლიოთეკა

საბარგო კოსმოსური ხომალდებით მიაქვთ დედამიწიდან.

ჩვენს ქვეყანაში 1971 წლიდან შეიქმნა ორბიტული სადგურების სერია „სალუტი“. ამ სადგურებს იყენებდნენ დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში ასტროფიზიკურ გამოკვლევათა ჩასატარებლად, დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს შესასწავლად, ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის ზეგავლენის გამოსარკვევად; 1973 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც შეიქმნა ასეთი დანიშნულების ორბიტული სადგური „სკაილები“ (ინგლისური ტერმინია, ნიშნავს ციურ ლაბორატორიას).

უმაღლესი დონის თანამედროვე კოსმოსური აპარატია საბჭოური ორბიტული-სამეცნიერო სადგური „მირი“. ეს სადგური დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში 1986 წლის 20 თებერვლიდან მოქმედებს. კოსმოსურ სივრცეში იგი გაიყვანა რაკეტა-მატარებელმა „პროტონმა“. ორბიტაზე მისი გასვლის შემდეგ ფრენის მართვის ცენტრიდან მიცემული სიგნალებით გაიშალა მზის ბატარეები და ანტენები. სადგურმა მოქმედება დაიწყო ავტომატური ავტონომიური ფრენის რეჟიმით. ამის შემდეგ იყო, რომ კოსმოსური ხომალდით მასზე მივიდა პირველი ეკიპაჟი — ლეონიდ კიზიმისა და ვლადიმერ სოლოვიოვის შემადგენლობით. მათ ყოველმხრივ გამოსცადეს სადგურის კონსტრუქციის ელემენტები, გამართეს და ააწყვეს აპარატურა, გაამდიდრეს სადგური ახალი ხელსაწყოებითა და მოწყობილობებით.

1987 წლის 8 თებერვალს, მოსკოვის დროით 2 საათსა და 38 წუთზე, კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-ტმ-2“ ორბიტულ კომპლექს „მირ-პროგრეს-27“-ს შეუპირაპირდა („პროგრეს-27“ არის სადგურ „მირთან“ შეპირაპირებული კოსმოსური საბარგო ხომალდი). შეპირაპირებული კვანძების ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი სადგურში გადავიდნენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე ლავეიკინი მსოფლიოში მე-200 კოსმონავტია.

სადგურ „მირის“ ექსპლუატაციის ახალ ეტაპზე გათვალისწინებულია მუდმივმოქმედი სამეცნიერო და სახალხო დანიშნულების, სპეციალიზებული, მოდულებიანი, პილოტირებული ორბიტული კომპლექსის შექმნა. აქ იური რომანენკომ და ალექსანდრე ლავეიკინმა ასტროფიზიკური, გეოფიზიკური, ტექნიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევების ვრცელი პროგრამა უნდა განახორციელონ.

ახლა — ორბიტულ სადგურ „მირი“-ს გეომეტრიული მახასიათებლების შესახებ: სადგურის საერთო სიგრძეა 14 მეტრი, მაქსიმალური დიამეტრი — 4 მეტრი, მასა — დაახლოებით 20 ტონა, ნაკვეთურების თავისუფალი მოცულობა — 100 კუბური მეტრი; სადგური შედგება გადასვლის მუშა და აგრეგატული ნაკვეთურებისა და შუალედური კამერისაგან. ეს ნაწილები ჰერმეტულად ჩასაკეტი ლიუკებით არის დაკავშირებული.

გადასვლის ნაკვეთურს 2 მეტრი დიამეტრის მქონე სფეროს ფორმა აქვს, იგი აღჭურვილია ხუთი შესაპირაპირებელი კვანძით. ნაკვეთურის შიგნით განლაგებულია ტემპერატურის რეგულირების, ჰაერის მუდმივი შედგენილობის უზრუნველყოფის, საბორტო გაზომვების, რადიოკავშირის, ტელევიზიის, განათების სისტემების აგრეგატები.

მუშა ნაკვეთური შედგება კონუსით შეერთებული სხვადასხვა დიამეტრის მქონე ორი ცილინდრისაგან. ორიენტაციის გაადვილების მიზნით, მისი იატაკი, კედლები და ჭერი



სხვადასხვაფრადაა შეღებილი. ნაკვეთურის გარე ზედაპირზე მზის ბატარეები, გადამწოდები, რადიოკავშირის ანტენები, ილუმინატორები და ღია კოსმოსში სამუშაოდ აუცილებელი სახელურებია განლაგებული.

ეკიპაჟის სამუშაო ადგილია სასამსახურო ზონა — ნაკლები დიამეტრის ნაკვეთური. აქედან კოსმონავტები მართავენ კომპლექსს, აკონტროლებენ სისტემების მდგომარეობას.

უფრო მოზრდილი ნაკვეთური (ე. წ. საყოფაცხოვრებო ზონა) გაწყობილია ეკიპაჟისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნის გათვალისწინებით. კაიუტებში ძილისა და დასვენებისათვის შექმნილია „დედამიწისეულთან“ მიახლოებული პირობები, არსებობს განათების, ვენტილაციის, პირადი ჰიგიენის მოწყობილობანი. მარჯვენა ბორტთან მოთავსებულია კოსმოსური სასადილო, გვერდით დამონტაჟებულია კომპლექსური ფიზკულტურული ტრენაჟორი. თეჯირის უკან ტუალეტი, პირსაბანი, ნარჩენების მიმღები, კონტეინერები, ვენტილატორები და კარადაა მოთავსებული. საყოფაცხოვრებო ზონის იატაკს ქვემოთ ნარჩენების მოცილების კამერაა.

საბაზო ბლოკის კუდა ნაწილია შეპირაპირების კვანძიანი შუალედური კამერა. მისი საშუალებით კოსმონავტები კოსმოსური ხომალდიდან საბაზო ბლოკში გადადიან.

აგრეგატულ ნაკვეთურში განლაგებულია სათბობის ავზები, ძრავები, ტემპერატურის რეგულირებისა და შეპირაპირების სისტემათა მოწყობილობები, გარედან დაყენებულია ანტენა. ორბიტული სადგურის ბორტზე მოთავსებულია მძლავრი საინფორმაციო-გამოთვლითი კომპლექსი, რომელიც ფრენის პროგრამის შესრულებისა და მართვის მაქსიმალური ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა.

მამოძრავებელ გაერთიანებულ დანადგართან მიერთებულია მცირე წევის რეაქტიული ძრავების სისტემა და ძალური წევის ორი რეაქტიული ძრავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი წერეთელი — 60

თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ ჟურნალ „პიონერში“ გამოქვეყნდა მანამდე ყველასათვის უცნობი ავტორის გიორგი წერეთლის ერთ-ერთი ლექსი. ეს იყო ახალგაზრდა შემოქმედის ლიტერატურული ნათლობა, სამწერლო ასპარეზზე პირველი ნაბიჯის ერთგვარი დალოცვა.

მას შემდეგ გიორგი წერეთელი ერთგულად, დაუღალავად იღვწის ქართულ საბავშვო მწერლობაში, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მას. იგი კარგად იცნობს პატარების სულიერ სამყაროს, ამიტომაც მისი ლექსები თუ პოემები ადვილად იკვალავენ გზას მოზარდის გულისაკენ. ნორჩი მკითხველის გულში სამშობლოს, სწავლის, შრომის სიყვარულის გაღვივება არის გიორგი წერეთლის შემოქმედების უმთავრესი მიზანი, რასაც წარმატებით აღწევს კიდეც ლაღი, ხატოვანი სტრიქონებით.

გიორგი წერეთელს ახლახან დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავენ ბავშვების მოამაგე პოეტს თავისი ცხოვრების შესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

## სხვას ვის აქვს...

სხვას ვის აქვს:
ცხრა მოა, ცხრა ველი,
ნაწნავი ცხრა-ცხრა მტკაველი.
ცხრა პური — ცხრა ძმის საგზალი,
ცხრა ხმალი — ცხრა ძმის ნახმარი.
სხვას ვის აქვს ციხე ცხრაკარა —
ცხრავეა ცხრა-ცხრა კლიტული,
ცხრა წყარო — ცხრავე ანკარა,
ცხრა მთაზე გადმოკიდული.
ცხრა მთიდან ჩამოწანწკარობს
ცხრა წყაროს თვალი ნებისად,
სხვაგან სად არის ცხრა წყარო
და ცხრავე უკვდავებისა.
სხვაგან სად არის ცხრა მუხა —
ხალხმა რომ ცხრა ძმად ჩათვალა,
აქ ცხრა ძმამ ცხრაჯერ ჩამუხლა,
რომ მზე მზეობდეს ცხრათვალა.
სადაც ცხრა გმირმა ჩამუხლა,
კვლავაც შრიალებს ცხრა მუხა,
კვლავაც ჭრიალებს ცხრა კარი,
კვლავაც აცხობენ ცხრა პურსა,
კვლავ უთვალთვალებს ცხრა თვალი
ცხრა კუთხეს მამა-პაპურსა,
მზე კვლავ დასცქერის ცხრათვალა
ცხრა მთას და
ცხრა ველს ზღაპრულსა.
ცხრა მთიდან ჩამოწანწკარობს
ცხრა წყაროსთვალი ნებისად,
სხვაგან სად არის ცხრა წყარო
და ცხრავე უკვდავებისა.





# როცა სიხარული მოგზაურობს

მწერალ გურამ პეტრიაშვილის საყმაწვილო წიგნებს ჩვენი პატარები კარგად იცნობენ. პატივცემული გურამი საინტერესო და მრავალმხრივი შემოქმედია. სულ ახლახან გამოვიდა მისი საბავშვო მოთხრობის მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმი „ელისა და რარუს თავგადასავალი", რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორიც თვითონვეა.

ეს საბავშვო ფილმი მოგვითხრობს კეთილი, მამაცი გოგონა ელისა და სასწაულმოქმედ პონი რარუს ურთიერთობასა და მეგობრობაზე. ბოროტ დი-დის გადაწყვეტილი აქვს, თავისი ოთახი ამ ლამაზი ცხოველისაგან გაკეთებული ფიტულით დაამშვენოს. მისი ხელქვეითები ცდილობენ რარუს ხელში ჩაგდებას... უსამართლობის ალმოსაფხვრელად ირაზმებიან ელი და მისი მეგობრები. სიტუაციაც თანდათან იძაბება... ფათერაკები ერთმანეთს ენაცვლებიან. საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს, ბოროტება მარცხდება.

ელის როლს შინაგანი უშუალობით, გულწრფელად და დამაჯერებლად ასახიერებს თბილისის 150-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე ნინო მეიშვილი. სხვა მსახიობთა საინტერესო და ძალდაუტანებელი თამაშიც უთუოდ დაიმსახურებს მაყურებელთა მოწონებას. ესენი არიან ზ. ყიფშიძე (მამა), რ. კიკნაძე (მომღერალი ნაიანა), რ. მიქაბერიძე (მძღოლი ღუღუ), ი. ვასაძე (ზოოპარკის დირექტორი), გ. სიხარულიძე (ექიმი), ლ. კაპანაძე (მისი ქალიშვილი), ე. მალალაშვილი (დი-დი) შ. ქრისტესაშვილი, ბ. ხაფავა, ი. კახიანი, პ. ბარათაშვილი, პ. ნოზაძე, მ. ჯოჯუა და სხვ.

„ელისა და რარუს თავგადასავალი" უთუოდ კარგი საჩუქარია ჩვენი პატარებისათვის, იგი მათ სულიერ სიწმინდესა და სისპეტაკეს უნერგავს, უღვივებს სიყვარულის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობას, ასწავლის ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

ნანა ფავლენიშვილი







ალი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№ 5

## აქტიურად ვმონაწილეობთ

ამბროლაურის რაიონის ხოტევის საშუალო სკოლის პიონერული ორგანიზაცია ატარებს სამამულო ომის გმირის, ხოტეველი ალექსანდრე ერმილეს ძე გურგენიძის სახელს. რაზმეულის პიონერები მუშაობენ მარშის „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“ მარშრუტების მიხედვით. პიონერები აქტიურად არიან ჩაბმულნი საკავშირო და რესპუბლიკურ ოპერაციებში: „ნობათი წიქარას“, „პიონერული ფერმა“, „მილიონი სამშობლოს“, „ურენგოი“, „მზიური“. მათი ძალებით შეგროვდა 3 ტონა უხეში საკვები, 400 კგ. ასკილი, 3 ტონა ჯართი, 300 კგ. მაკულატურა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით სკოლაში გამოცხადდა ოპერაცია „გაცოცხლებული წარსული“. პიონერები აგროვებენ ძველ ნივთებს სასკოლო მუზეუმისათვის, აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო და პიონერული ღონისძიებების მოწყობაში. სკოლის წითელკვალმაძიებლებმა დიდძალი მასალა შეაგროვეს ხოტევის ისტორიული ძეგლებისა და სკოლის პირველი მოსწავლე პიონერების შესახებ. პიონერები აგროვებენ მასალებს ალბომისათვის „რევოლუციონერები ჩვენი კუთხიდან“ და „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია 70 წლისაა“.

ჩვენი სკოლის პიონერებს მეგობრული კავშირი აქვთ დამყარებული გმირი ქალაქების პიონერებთან: კიევთან, მოსკოვთან, ვოროშილოვგრადთან. ვეხმარებით სოფლის მარტოხელებსა და მოხუცებს.

ნათია ქემოკლიძე,
ხოტევის საშუალო სკოლის
ალ. გურგენიძის სახელობის
რაზმეულის პიონერი.

### ვარძია

სალი კლდე ფიჭასავით
არის დაჩვრეტილი,
წლები ფუტკრებივით ეხვევიან,
აქ ქართვლის რწმენა არის
ალბეჭდილი,
ამ კლდეს უკვდავება შეხებია.
აქედან ფიქრები იშლებიან
და ცაში მერცხლებივით
დაფრინავენ;
ქარები ქვის ქანებს ეხლებიან,
საუკუნეები აქ ზარებს რეკავენ.
სადაც თამარ მეფის სურათია,
საქართველოს სული სულ ანთია.
კვლავ ცოცხლობს —
მან ჟამთა სიავე დაძლია,
ჩვენი სიამაყის
ძეგლია ვარძია.

ინგა ფოჩხუა,
გეგეჭკორი, მუხურის საშუალო
სკოლა, X კლასი.

### წვიმა

საამურია ხის ფოთლების
თრთოლა-თამაში
და ნაკადულის გაშმაგება
ღელე-ჭალაში.

მხიარულობენ დახუნძლული
მწიფე ტყემლები,
ვენახში დინჯად იღიმიან
მწვანე მტევნები.

### მზესუმზირა

მზის სხივებით ავსებული
ჩემი მზესუმზირა
გრილმა სიომ საღამო ხანს
ტკბილად დააძინა.

მაია ოჩიგავა,
თბილისი, მე-18 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



ნათელა გეჟანიშვილი, 6 წლის.
თიანეთი.

### ბედნიერება

ქარი დაჰქროლავს, შარიშურით წაიღებს ფოთლებს,
ლურჯ ლაჟვარდებში ცისარტყელა შეიკვრება,
მზე ამღერდება სევდაჩამდგარ ლამაზ თვალებში
და მსუბუქ ფრთებით მოფრინდება ბედნიერება.
ტალღებს ლივლივას მოეხვევა დილის ნიავი,
იღელვებს იგიც, როგორც ლურჯ ზღვას შეეფერება,
მზე ამღერდება სევდაჩამდგარ ლამაზ თვალებში
და მსუბუქ ფრთებით მოფრინდება ბედნიერება.
როცა მშვიდობა დაიბუდებს დედამიწაზე
და აყვავდება ყვავილივით მშვენიერება,
მზე ამღერდება სევდანასვამ ლამაზ თვალებში
და მსუბუქ ფრთებით მოფრინდება ბედნიერება.

ინგა გრიგოლია, თბილისი, 62-ე საშ. სკოლა, IX კლასი.

# დღეს — პიონერული აქტივისტი, ხვალ — კომკავშირული ლიდერი

ბუნებრივია, რომ ისინი, ვინც რგოლის ხელმძღვანელად ან რაზმის თუ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ, ანდა პიონერთა საქალაქო თუ რაიონული შტაბის წევრად იყო არჩეული, კომკავშირის რიგებში შესვლის შემდეგ — კომკავშირის კომიტეტის დავალებით — პიონერულ კოლექტივებში იგზავნებიან სამუშაოდ. ასეთი ახალგაზრდები ყოველთვის გამოირჩევიან აქტიური პოზიციით, სხვებზე ზრუნვით, საქმის ცოდნითა და პასუხისმგებლობით, თავისი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნელობითა და პრინციპულობით, თავმდაბლობითა და უშუალობით; ასეთ ახალგაზრდებთან ბავშვებს არ უჭირთ ურთიერთობა, სიამოვნებთ მათ გვერდით ყოფნა.

პიონერთა ორგანიზაციაში კომკავშირის წარგზავნილებზე ითქვა საქართველოს კომკავშირის XXXIII, საკავშირო ალკკ XX ყრილობებზე, რომლებმაც სათანადო ყურადღება დაუთმეს კომკავშირულ დახმარებას პიონერული ორგანიზაციისადმი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნა მიმდინარეობს, გარდაქმნის პროცესს ცვლილებები შეაქვს შენს ორგანიზაციაში, რგოლში, რაზმში, პირადად შენში.

სულ ახლახან გამართული ანგარიშგება-არჩევნების დროსაც ხომ მკაცრად მოჰკითხეთ ერთმანეთს, თუ რა გააკეთეთ და რა — ვერა. მოისმინეთ უფროსების მოსაზრებებიც თქვენი კოლექტივის შესახებ და გაანალიზეთ ისინი.

მთელი ამ მღელვარე ცხოვრების მონაწილეა რაზმის ხელმძღვანელი. ეს მოვალეობა თითოეული კომკავშირელისათვის საპატიოა და იმავე დროს მისთვის დიდი ნდობის გამოცხადებასაც ნიშნავს. ბევრ კომკავშირის კომიტეტში, როცა კომკავშირელს რაზმში აგზავნიან, მას საზეიმოდ გადასცემენ ხოლმე „კომკავშირულ საგზურს“. „საგზურში“ პიონერებისა და პიონერხელმძღვანელების, საერთოდ, ახალგაზრდობის დიდი მეგობრის ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას სიტყვები წერია, „კარგი პიონერხელმძღვანელი რომ იყო, უნდა შეგეძლოს:

პირველი — წარმატებით სწავლა.

მეორე — უნდა იყო პოლიტიკურად განსწავლული.

მესამე — უნდა იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური.

მეოთხე — შეგეძლოს ბავშვებთან მუშაობა“.

თავიდან ამ მოვალეობის შემსრულებელს არ ასვენებს ფიქრი — როგორები არიან ჩემი რაზმის პიონერები, როგორ შემხვდებიან, საიდან დავიწყოო.

ალბათ ასეთივე მღელვარებით შეხვდა შენს რაზმს შენი რაზმის ხელმძღვანელი. ასე მოხდება სულ მალე პიონერთა ბანაკშიც, სადაც კომკავშირელი ახალგაზრდა თავიდანვე ეცდება, იყოს თქვენი კარგი მეგობარი.

რაზმის ხელმძღვანელი დიდი ძალაა პიონერთა ორგანიზაციაში. საინტერესოა ერთ-ერთი მათგანის, თბილისის მე-14 სკოლის მე-11 რაზმის ხელმძღვანელის ოლიკო ცისკაროვას მუშაობა.

ეს ამ გაზაფხულზე იყო. სწორედ საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობისათვის მზადების დღეებში თბილისში რაზმის ხელმძღვანელთა საქალაქო კლუბი შეიქმნა.

როცა სკოლაში იკითხეს, ვინ უნდა გაიგზავნოს ამ კლუბშიო, თურმე ყველას არჩევანი ოლიკო ცისკაროვაზე შეჩერებულა.

მისთვის ეს პირველი კომკავშირული დავალება გახლავთ, ადრე პიონერთა ორგანიზაციაში რგოლის ხელმძღვანელი იყო და რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოებისაგან ერთდროული პიონერული დავალებებიც არაერთხელ მიუღია, დავალებებს ყოველთვის ხალისით ასრულებდა, ამიტომაც კომკავშირის რიგებში შესვლისას რაზმეულის საბჭომ უყოყმანოდ მისცა მას რეკომენდაცია.

შემდეგ ოლიკომ კომკავშირული ბილეთის მიღებისთანავე მიაკითხა კომკავშირის კომიტეტის მდივანს, დავალება ითხოვა, და აკი ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის მე-11 რაზმის ხელმძღვანელობაც მიანდეს.

... პიონერთა სასახლეში მისვლისთანავე მოეწონა ოლიკოს თბილისის ათივე რაიონიდან მოსული რაზმის ხელმძღვანელები.

კლუბი საზეიმოდ გაიხსნა, მას სახელად

## შაში სპორტული თამაში

### მარბიელით კვლა

ა) მარბიელი ვალდებულია, სვლის დროს თავის გზაზე მოკლას მოწინააღმდეგის შაში ან მარბიელი იმის მიუხედავად, ერთი მოედანია მოწინააღმდეგის შაშამდე თავისუფალი თუ რამდენიმე. ამასთან, საკმარისია მოკლული შაშის (მარბიელის) იქით იყოს თუნდაც ერთი თავისუფალი მოედანი, რომ მან სვლა განახორციელოს როგორც წინ, ასევე უკან გზაზე შემხვედრი დიაგონალების მიმართულებით, და ბოლოს დადგეს მისთვის სასურველ თავისუფალ ადგილზე. მაგალითად, მე-6 დიაგრამაზე 21-ე უჯრაზე მყოფ მარბიელს სურვილის მიხედვით შეუძლია განახორციელოს კვლა:

1) e1:c1:f6:h8; 1) e1:c3:f6:d3:a5; 1) e1:b4:f8:h6; 1) e1:a5:c7:f4 (g3 ან h2-ზე); 1) e1:a5:d8:f6:h8; 1) e1:a5:d8:f6:d4 (c3, b2 ან a1-ზე).

ბ) თუ შაში კვლის დროს მიაღწევს ბოლო ჰორიზონტალურ რიგს და აქაც შესაძლებლობა აქვს მოწინაღმდეგის შაშის კვლისა, მაშინ ის ვალდებულია გააგრძელოს ბრძოლა მარბიელის უფლებით.

დავხედოთ მე-7 დიაგრამას. აქ თეთრები იწყებენ და იგებენ, მივყვეთ მსვლელობას:

1) d2-e3 d4:f2 2) c1-f4 e5:g3 (თუ 2. ... a3:c1, მაშინ 3) c3-b4 a5:c3 4) g5-h6 c1:g5 5) h6:f2:b4: e1:h4:f6:d4:d7 3) h2:f4 a3:c1 4) c3-b4 a5:c3 5) g5-h6 c1:g5.

აი, აქ მეექვსე სვლაზე თეთრების შაში, რომელიც მოწინაალმდეგის მოკვლის შემდეგ მოხვდება სამარბიელო f8 უჯრაზე, აგრძელებს კვლას მარბიელის ეტლებით, ე. ი. h6:f8:b4:c1:f4:d8:a5 შემოკლებით ჩაიწერება ასე: 6) h6:a5.

გ) როდესაც შაში კვლის გარეშე მიაღწევს ბოლო ჰორიზონტალურ რიგს (სამარბიელოს), კვლას განახორციელებს (თუ ამის საშუალება აქვს) მომდევნო სვლიდან:

დავხედოთ მე-8 დიაგრამას, თეთრები იწყებენ და იგებენ 7 ქვის შეწირვით:

„ჩირაღდანი“ დაარქვეს, დევიზიც თვითონვე შეარჩიეს.

რაზმის ხელმძღვანელთა საქალაქო კლუბის თავმჯდომარედ მე-2 სკოლის მეხუთეკლასელთა რაზმის ხელმძღვანელი ნიკო ალექსანდროვი აირჩიეს, მოადგილედ — თამრიკო ურიგაშვილი 84-ე სკოლიდან. კლუბთან შეიქმნა კულტმასობრივი და მეთოდური სექციები, რომლებსაც გია არაქელოვი, ნატაშა სივცოვა, ირმა ბეკაშვილი უძღვებიან.

„ჩირაღდანში“ ერთმანეთს ენაცვლება პოეზიის საღამო, დისპუტი „როგორი უნდა იყოს რაზმის ხელმძღვანელი“, სამწყობრო სიმღერების კონკურსი, კონკურსი ასფალტზე ხატვაში, რაზმის ხელმძღვანელთა სპორტული სპარტაკიადა. სწორედ აქ მიღებული ცოდნა და სხვების გამოცდილების გაზიარებაც ეხმარება ოლიკოს პიონერებთან მუშაობაში.

ის ხშირად არის თავის რაზმთან. დაჰყავს პიონერები კინოში. დაათვალიერებინა მათ სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“, ხსოვნის დღეებში ყვავილებიც ერთად მიიტანეს ნოდარ დუმბაძის საფლავზე; მომავალ პროფესიას მიუძღვნეს დისპუტი „ვინ მინდა ვიყო?“ ყოველთვე ატარებენ რაზმის შეკრებებს, სადაც ხშირად იხილავენ აღებული სიტყვის შესრულების მიმდინარეობას, აკონტროლებენ, თუ ვინ როგორ ეკიდება რაზმის საბჭოს დავალებას. გვერდში ოლიკოსთანა საიმედო მეგობარი რომ უდგას, ამიტომაც არ უჭირს თავისი მოვალეობის შესრულება რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს მანანა მჭედლიშვილს.

პიონერულ შეკრებებზე თითოეული პიონერის საქმიანობას წარმოაჩენენ, კარგი მუშაობისათვის შეაქეს კვალმაძიებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი პაატა სვანიშვილი, რომელმაც სტახანოვის ქუჩის ისტორია და ამ ქუჩაზე მცხოვრებ ომის ვეტერანთა ბიოგრაფიები შეაგროვა. შეაქეს პოლიტინფორმატორი თამრიკო ადუაშვილიც; აღნიშნეს გია ბალაშვილიც, რომელმაც სწავლაში სიბეჯითეს უმატა.

რაზმი მეორეკლასელ ოქტომბრელებს შეფობს. პიონერებმა ისინი ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში წაიყვანეს ექსკურსიაზე. რაზმმა მიმოწერა განაახლა ბაქოსა და ლენინგრადის მე-14 სკოლის მეხუთეკლასელებთან; რაზმში უშვებენ კედლის გაზეთ „ნერგებს“, მოამზადეს ვიქტორინა.

ოლიკომ პიონერებს გააცნო საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას ბიოგრაფია, რომლის სახელსაც ატარებს რაზმი, დაუკავშირა ისინი პიონერებს მოსკოვის 256-ე სკოლიდან, სადაც ზოია სწავლობდა; რაზმში ყველას წააკითხა ალექსი ალექსინის მოთხრობა „მესიგნალენი და მებუკენი“, მეგობრობის მუზეუმს ასტუმრა თავისი პიონერები; მთაწმინდაზეც აიყვანა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; დაუსწრებლად ამოგზაურა გმირ ქალაქებში.

ოლიკოს დიდი სურვილი აქვს, უკეთ უხელმძღვანელოს თავის რაზმს, ამაში ამ ერთი წლის მუშაობის გამოცდილებაც დაეხმარება და საქმეს მომავალში უკეთ გაუძღვება. ასე რომ, რაზმის ხელმძღვანელი რაზმში პიონერული საქმეების ორგანიზატორთა დამხმარე და ხელისშემწყობია, ის შეიძლება

პიონერული აქტივის კლუბი



იყოს მოსწავლე ან წარმოებიდან მოსული კომკავშირელი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებიდან მოსული ახალგაზრდა, შემოქმედებითი და სამეცნიერო ახალგაზრდობის წარმომადგენელი, ოღონდ უნდა ჰქონდეს ბავშვებთან მუშაობის მოწოდება და უნდა ფლობდეს ორგანიზატორულ ჩვევებს.

რაზმის ხელმძღვანელი მთელ თავის საქმიანობას პიონერების აქტიურობასა და თაოსნობაზე აგებს, ამეგობრებს მათ თავისი კლასის კომკავშირელებთან, საწარმოო თუ სასწავლო კოლექტივებთან; მათი ინტერესების მიხედვით ქმნის სექციებს, წრეებს, კლუბებს, აწყობს ექსკურსიებს, ტურისტულ ლაშქრობებს. მთელ ამ საქმიანობაში მოსწავლე კომკავშირელი — რაზმის ხელმძღვანელი თავისი რაზმის პიონერებთან სამუშაოდ თანაკლასელ კომკავშირელებსაც იზიდავს; ასე ცდილობს მუშაობის წარმართვას ოლიკო ცისკაროვაც. პიონერული კოლექტივის ხელმძღვანელობა მას ძალზე საპატიო მოვალეობად მიაჩნია. ეს ასეც არის.

ნათელა ფაილოძე

---

1) c3-b4 f6:a1 2) d2-e3 í2:d4 (თუ 2)... f4:d2, მაშინ 3) h2.f4:í8:c5:g1) 3) e1-í2 g3:e1 4) a5-b6 e1:a5 5) h2-g3 í6:h2 6) c1-b2 a1:c3 7) c7-d8 a5:c7.

მეშვიდე სვლაზე შაში იქცა მარბიელად d8 უჯრაზე და მომდევნო სვლით განახორციელებს კვლას 8) d8:d5:d2:h6:í2:c5:g1. მოწინააღმდეგის შაშის დატყვევებით.

„ფუკა“, ანუ „ვერ დავინახე“ შაში არ არსებობს, მოკვლა აუცილებელია. ამის დასტურია ამ დიაგრამაზე მოყვანილი საინტერესო კომბინაცია.

მოწინააღმდეგის შაშები უნდა ავიღოთ დაფიდან კვლის დამთავრების შემდეგ და არა კვლის პროცესში.

მოწინააღმდეგის შაშის კვლის პროცესში შეიძლება ერთსა და იმავე შაშს მხოლოდ ერთხელ გადაახტე, მაგალითად. მე-9 დიაგრამაზე სვლა თეთრებისაა. თუ თეთრები ითამაშებენ 1) f2-e3-ს, მაშინ შავების მარბიელმა კვლა უნდა დაამთავროს c5 უჯრაზე 1) g5:c5, ვინაიდან e3 უჯრა თეთრების შაშს უკავია და მისი მეორედ გადაკვეთა არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში d4 უჯრაზე მყოფი შაში ადგილზე რჩება და იგი ფინალურ დარტყმას განახორციელებს.

ვლადიმერ კანდელაკი



6



7



8



9

პასუხი 1986 წლის № 11-ში დასმულ კითხვებზე



# კაცხის ტაძარი

კაცხის ტაძარი ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, მდ. კაცხურას ნაპირას მდებარეობს. ძეგლზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ყვირილას შორაპნის ზეით არს მარტოთუბანი. მას ზეით ბოსლები. მას ზეით მოერთვის ყვირილას კაცხის წყალი... ყვირილის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კაცხის ეკლესია მაცხოვრისა. გუმბათიანი, დიდ-ფრიად კეთილშენი. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე, ხრამსა შინა აყვანილი, ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება ასვლისა“.

კაცხის ეკლესია ზუსტად თარიღდება მასზე მოთავსებული წარწერებით. პირველი მათგანი მოთავსებულია ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანზე. ეს ტიმპანი დიდი ზომის ქვის ფილაა. მისი ზედაპირი დაფარულია მოზრდილი რელიეფური პალმეტებით, ფილაზე ნახევარწრიული, რელიეფური, კიდურწაისრული ასომთავრული წარწერაა. წარწერა ალაგ-ალაგ დაზიანებულია. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია კიდურწაისრული სწორი განივი ხაზი. წარწერა ასე იკითხება: „წმიდაო სამებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოისა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლისა დიდი კურაპალატი“. წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, „ყოვლისა აღმოსავლისა დიდი კურაპალატი“, ბაგრატ მესამეა (975-1014 წ. წ.). თარიღის დაზუსტებისათვის გავიხსენოთ, რომ ბაგრატმა რანი 1010-1014 წლებში შემოიერთა, მაშასადამე, აღნიშნული წარწერაც ამ წლებშია შესრულებული. ტაძრის ჩრდილოეთის ტიმპანზე მოთავსებული წარწერა ასე იკითხება: „წმიდაო სამებაო, შეიწყალე დიდებული გიორგი მეფეი“. ეს მეფე გიორგი უნდა იყოს გიორგი I (1014-1027). სწორედ ამ წარწერებით თარიღდება ტაძარი. როგორც ჩანს, მისი მშენებლობა დაიწყო X საუკუნეში და დამთავრდა XI საუკუნის 20-იან წლებში. ტაძარზე სხვა წარწერებიცაა. მათგან მნიშვნელოვანია: „წმიდაო სამებაო, შეიწყალე სული სარაისი და მისისა შვილისა ხურცისა, რომელ ესე ქვაი მოიღო“, და წარწერა, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება: „წმიდაო გიორგი, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა იოშაჲს და შვილთა მისთა, ამენ“. როგორც ვხედავთ, კაცხის ტაძარი არა მარტო ხუროთმოძღვრული თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ ისტორიულადაც.

სოფ. კაცხი ისტორიულ საბუთებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება. გვიანდელ საბუთებში გვხვდება კაცხის ციხე, რომელიც თავდაპირველად მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა, XVII საუკუნეში აბაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, XVIII საუკუნეში კი კვლავ მეფისაა. დღეს მხოლოდ ციხის ნანგრევებია შემორჩენილი.

კაცხის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალი ეპოქის ძეგლია. იგი როტონდის ტიპის ნაგებობაა. ამ დროს საქართველოში აშენებდნენ გუმბათიანი ეკლესიების მანამდე უცნობ ექვსაფსიდიან შენობებს. ეს ტიპი, როგორც აკად. ვ. ბერიძე ფიქრობს, წარმოიშვა ტეტრაკონქის ძველი ტიპის ერთგვარი დეკორაციული გადამუშავება-განვითარების შედეგად. აქ გუმბათი კვადრატს არ ეყრდნობა, მის საყრდენად გამოყენებულია აფსიდების ექვსი შვერილი. ასეთი ექვსაფსიდიანი ეკლესიები გარედან ორი, ერთმანეთზე შესმული წახნაგოვანი ცილინდრისაგან შედგება. ტაძრის შიგა სივრცე მონუმენტურია. ტაძარს აქვს დაკბილული სახურავი, ყოველ წახნაგზე ფრონტონია. გუმბათის ყელი თაღებითაა გაფორმებული. ძეგლს ამჟამად ახალი მოპირკეთება აქვს, რამაც სახე უცვალა ეკლესიას. თავდაპირველი მოპირკეთება შემორჩენილია გარშემოსავლელზე, რომელიც, აგრეთვე, რამდენჯერმე გადაკეთდა, თუმცა ადრინდელი სახე მაინც შერჩა. განსაკუთრებით საინტერესოა „ჯვრის ამაღლების“ რელიეფიანი მრგვალი სარკმელი სამხრეთ მინაშენში. ეკლესიის ფასადების დეკორატიული გაფორმება ზუსტად ასახავს გარდამავალი ეპოქის სულისკვეთებას. ძეგლის ძირითადი ნაწილის თაღებისა და ლავგარდნების გაფორმებაშიც მეტი სიმკაცრე და მონუმენტურობა იგრძნობა, ჭარბობს კედ-

## იუმორესკა

### სამწუხარო ამბავი

ადამიანს, გონებისა და ტექნიკური აზროვნების გარდა, სხვა თვისებებიც აქვს. აი, მაგალითად, ადამიანი ეგოისტიც არის. მშრალი სიტყვა რომ არ გამომივიდეს, მინდა აღვწერო ერთი სამწუხარო ამბავი, რომლის მოწმეც თვითონ გახლდით.

ტროტუარზე მოხუცი ქალი იდგა. ეტყობოდა, ქუჩაზე გადასვლა უნდოდა. რამდენჯერმე დაიძრა კიდეც ადგილიდან, მაგრამ იმწამსვე უკან დაიხია. ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო.

— ვინმე მაინც მოიფიქრებდეს მის გადაყვანას ქუჩის მეორე მხარეს, — წარმოთქვა ზიზიამ, ვისთანაც ერთად მივსეირნობდი.

— მაშ, — მივუგე მე, — აბა, ერთი ვნახოთ, თუ გამოჩნდება ღვთისნიერი ადამიანი, რომ მოხუცს მიეხმაროს.

უმწეო ქალს თვალს არ ვაშორებდით. იგი დიდ ქალაქში გზადაბნეულ ბავშვს ჰგავდა. საბრალო მუდარით შეჰყურებდა გამვლელებს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, გვერდს უვლიდნენ. მართალია, ადრიანი დილა იყო და ხალხი სამსახურში მიიჩქაროდა, მაგრამ განა ეს მიზეზია?!

მე და ზიზია დიდხანს ვიმედოვნებდით, რომ ვინმე მადლიანი კაცი გამოჩნდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ადამიანებისადმი რწმენადაკარგულებმა პარკისაკენ გავწიეთ.

რაც შეეხება მოხუც ქალს, ის ალბათ ახლაც იქ დგას.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

## საინტერესო სიახლენი

### როგორ დაფრინავდა პტერანოდონი

ამ კითხვაზე დიდხანს იმტვრევდნენ თავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პალეონტოლოგები. პტერანოდონი, შეიძლება ითქვას, მფრინავი დინოზავრი იყო. იგი იმ შორეულ ხანაში ცხოვრობდა, როცა დედამიწაზე პირველად გაჩნდნენ ძუძუმწოვრები, ფრინველები და თევზები. პტერანოდონის ფრენის საიდუმლოება ამოხსნა ინგლისელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



რა არის ამ სურათზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ?

ლის ყრუ, ბრტყელი ზედაპირი. ქვების წყობა სიმეტრიულია. ასევე მკაცრად არის გაფორმებული ეკლესიის ინტერიერი. ძეგლი კარგადაა განათებული გუმბათის ყელის 12 წახნაგში განლაგებული სარკმლებით. გარდა ამისა, ეკლესიას ფასადებზე 6 სარკმელი აქვს.

საქართველოში კაცხის ტიპის ძეგლებს თავისებურებები ახასიათებთ. მაგალითად, გოგიუბას (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ამჟამად თურქეთშია) ყველა აფსიდა თანაბარი აქვს და გეგმით სიმეტრიულია, ოლთისის ეკლესიის (ისიც თურქეთშია) აღმოსავლეთის აფსიდი გამოყოფილია. ბოჟორმის ციხის ეკლესიაში მკაფიოდაა განცალკევებული აფსიდის გუმბათქვეშა სივრცე. კაცხის ტაძარი ამ ტიპის უკანასკნელი ძეგლია, იგი თავისი გეგმით სხვა ძეგლებზე უფრო განვითარებული ნაგებობაა. გენეტიკურად ამ ტიპთან დაკავშირებულია კუმურდოსა და ნიკორწმინდის ტაძრებიც.

როგორც ვხედავთ, კაცხის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ძალზე საინტერესო და თავისებური ძეგლია, მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებაზე.

კაცხის სვეტი. სოფლის მახლობლად, მდინარეების — კაცხურასა და ღვითორის წყალგამყოფზე მდებარეობს „კაცხის სვეტი". კლდის სიმაღლე 40 მეტრია. ადრინდელ შუა საუკუნეებში აქ განდეგილთა სამყოფელი იყო. სვეტის ზედა ბაქანზე ორი მცირე ზომის ეკლესია დგას. ერთი მათგანი (V ს.) მშრალადაა ნაგები უხეშად დამუშავებული ადგილობრივი ქვით. ეკლესიის აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე ეკლესია (VI ს.) ქვემოდან აზიდული კარგად დამუშავებული ქვის კვადრებითაა ნაგები. ქვედა სართულში აქვს სამარხი. კაცხის სვეტის ძეგლები პირველად 1944 წელს ინახულა მთამსვლელთა ჯგუფმა, რომელსაც ალექსანდრე ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.

ამირან ჩხარტიშვილი

**ტიმპანი** — ეკლესიის შესასვლელის თავზე არსებული მრუდხაზოვანი სიბრტყე.

**ეკვდერი** — ეკლესიაზე მიშენებული მცირე ნაგებობა სალოცავად.

**გარშემოსავლელი** — შენობის ნაწილი, რომელიც გარს უვლის ნაგებობას.

**როტონდა** — წრიული გეგმის მქონე გუმბათიანი ნაგებობა.

**ტეტრაკონქი** — გუმბათიანი ეკლესია, რომლის მკლავები ნახევარწრით მთავრდება.

**ფრონტონი** — ფასადის დამამთავრებელი სამკუთხა სივრცე.

**ლავგარდანი**, კარნიზი — კედლის დამამთავრებელი პროფილიანი ელემენტი.

მწერალმა სტივენ უინკუორტმა, რომელიც ავიამოდელიზმითაა გატაცებული. მან შექმნა მფრინავი დინოზავრის რამდენიმე მო-



დელი. ბოლოს და ბოლოს მის მიერ აგებულმა ერთმა მოდელმა, რომელიც 5 კგ-ს იწონიდა, ხოლო ფრთების სიგრძე 4,6 მ-ს აღწევდა, შეძლო ეფრინა 30 კმ/სთ სიჩქარით 3 საათის განმავლობაში. თანაც ეს მოდელი კი არ პლანირებდა, არამედ, ნამდვილი ფრინველივით, ფრთების ქნევით დაფრინავდა.

## რომელი საათია?

ქუჩაში საკუთარ საათთან მოლაპარაკე კაცი თუ შეგხვდეთ, ძალიან ნუ გაიკვირვებთ: შეიძლება იგი ახალი მოდელის საათის მფლობელი იყოს — ამ საათს ადამიანის ხმით შეუძლია უპასუხოს შეკითხვებს, რა დღეა დღეს და რომელი საათია ახლა. ასეთი ქრონომეტრი შვეიცარიელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. იგი მხოლოდ თავისი პატრონის შეკითხვებს პასუხობს. თუ საათის მფლობელი თეატრში ან ბიბლიოთეკა-



ში იმყოფება, საკმარისია ღილაკს თითი დააჭიროს და ეკრანზე მყისვე გამოჩნდება საჭირო ცნობები.

# დილის ჰიგიენური ვარჯიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის ჰიგიენური ვარჯიში ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების გააქტიურებას, აჩქარებს სამუშაო მდგომარეობაში ორგანიზმის მოყვანას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნერვული სისტემის მდგომარეობას, ამაღლებს სისხლის მიმოქცევის ორგანოთა მუშაობის ეფექტურობას, აძლიერებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს.



ამიტომ არის, რომ დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსის ჩატარების შემდეგ ადამიანს უჩნდება სიმსუბუქის შეგრძნება, უუმჯობესდება გუნება-განწყობილება.

დიდი მნიშვნელობა აქვს დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსის სწორ შერჩევას. შერჩევისას გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ყოველი მომდევნო ვარჯიში მუშაობაში რთავს კუნთების სხვადასხვა ჯგუფს, რაც საბოლოოდ ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილს აამოქმედებს.

მეცადინეობა უნდა დავიწყოთ ჩვეულებრივი სიარულით, რადგან იგი სხვა ვარჯიშებთან შედარებით ბუნებრივია და შემდგომი ვარჯიშების შესასრულებლად განაწყობს ადამიანს. სიარულის დროს აუცილებელია ტანის სწორად დაჭერა და თავისუფალი სუნთქვა.

დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსი ტარდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მოძრაობები გულმკერდის არეში ხერხემლის სვეტის გაზნექით და, რაც შეიძლება, ღრმა სუნთქვით;

2. მოძრაობები მხრის სარტყელის არეში მასთან დაკავშირებული კუნთების ჯგუფის ჩართვით;

3. ვარჯიშები ზედატანის კუნთებისთვის (ბრუნები ან ზნექები);

4. ვარჯიშები ქვედა კიდურების კუნთებისთვის;

5. ვარჯიშები ტანის კუნთებისთვის — შედარებით უფრო ინტენსიური, ვიდრე ზემოთ იყო მოცემული (ბრუნები, ზნექები, ტრიალი);

6. ვარჯიშები მუცლის კუნთებისთვის;

7. ვარჯიშები სხვადასხვა ჯგუფის კუნთებისთვის (კომპლექსური);

8. ვარჯიშები მოდუნებისთვის;

9. სუნთქვითი ხასიათის ვარჯიშები.

დილის ჰიგიენური ტანვარ-

დილის ჰიგიენური ვარჯიში



მხატვარი გივი პეტრიაშვილი

# მოდელირებას

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის დამლევს ნორვეგიის ფიორდებიდან და დანიის ყურეებიდან საძარცვავად დაიძრნენ ნორმანები, რომლებსაც ვიკინგებსაც უწოდებდნენ. ვიკინგთა ნიჩბიან-აფრიანი გემები იმდროინდელი გემთმშენებლობის მაღალ დონეზე მეტყველებდნენ. მათ მუხის ტკეჩებისგან აგებდნენ მუხისავე შპანშოუტების* გამოყენებით. შემოსაფიცრი ფურცლები ხის სარჭებითა და ნაძვის ფესვებისაგან დამზადებული ბაგირებით მაგრდებოდა, მერე კი ფისით გაჟღენთილი მატყლით მკვრივდებოდა. გემები ალბურვილი იყო ნიჩბებით, დიდი სწორი აფრით და საჭის ნიჩბით.

1880 წელს გოკსტადთან (ნორვეგია) აღმოაჩინეს ვიკინგების გემი, რომელიც IX საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამჟამად სწორედ ამ გემის მოდელს გთავაზობთ.

ძირითადი მონაცემები: სიგრძე — 23,2 მ, სიგანე — 5,2 მ, წყალშიგი — 0,9 მ.

კორპუსი — მუქი ყავისფერი, აფრა — თეთრი და წითელი ზოლებით, ბორტის ფარები — მონაცვლეობით შავი და ყვითელი.

(შეგახსენებთ — ნახაზების მასშტაბია 1:500)

# დილის ჰიგიენური ვარჯიში

ჯიშის კომპლექსთა შედგენის დროს გასათვალისწინებელია ფიზიკური დატვირთვის თანდათანობითი მატება, რაც მაქსიმუმს აღწევს მესამე და მეოთხე ვარჯიშის შესრულებისას.

კომპლექსების გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მათი შესრულების სისტემატურობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ხანგრძლიობაც, შესაბამისად, 10-დან 20-35 წუთამდე გაიზრდება. დილის ვარჯიშის ეფექტი მეტი იქნება, თუ კომპლექსში ციკლურ ვარჯიშებსაც ჩავრთავთ. ასეთ შემთხვევაში შემოთავაზებული სქემა ძალაში რჩება, მხოლოდ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ კარგია 5-10 წუთიანი ნელი სირბილი, რომელიც ჩვეულებრივ სიარულში გადადის. სიარულის დროს აუცილებელია დამამშვიდებელი და მოსადუნებელი სუნთქვითი ვარჯიშების ჩართვა.

ამჯერად გთავაზობთ დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის ერთ კომპლექსს. ვარჯიშების კომპლექსთა სხვა სახეობებს ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომრებში რეგულარულად მოგაწვდით. გაკვეთილებს გაუძღვება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი.

თორნიკე სანებლიძე.

### გაკვეთილი № 1. დილის ვარჯიშის კომპლექსი 10-12 წლის ბავშვებისათვის.

**ვარჯიში № 1.**

საწყისი მდგომარეობა — ფეხშლით დგომი.

1, 2, 3 თვლაზე — ცერებზე აწევით გარე ზემკლავი, ჩასუნთქვა.

4 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ.

**ვარჯიში № 2.**

საწყისი მდგომარეობა — პირით კედლისკენ დგომი, წინმკლავი. 1, 2, 3 თვლაზე — ხელების მოხრა, ჩასუნთქვა. 4 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა (4-6-ჯერ).

**ვარჯიში № 3.**

საწყისი მდგომარეობა — ფეხშლით დგომი, დოინჯი.
1, 2, 3 თვლაზე — დრეკადი ზნექი მარცხნივ, ხელები თავსუკან, 4 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. იგივე — მარჯვნივ, ზნექების დროს ჩასუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას — ამოსუნთქვა (4-6-ჯერ თითოეულ მხარეს).

**ვარჯიში № 4.**

საწყისი მდგომარეობა — ფეხშლით დგომი, დოინჯი. 1, 2 თვლაზე — ვარდნა მარცხნივ, განმკლავი. 3, 4 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. იგივე მოძრაობა მარჯვნივ, სუნთქვა — ნებისმიერი (4-6-ჯერ).

**ვარჯიში № 5.**

საწყისი მდგომარეობა — ფეხშლით დგომი. 1 თვლაზე — ზედატანის ბრუნი მარცხნივ, განმკლავი. 2 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. 3 თვლაზე ზედატანის ბრუნი მარჯვნივ, განმკლავი.

4 თვლაზე — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ზედატანის ბრუნების დროს — ამოსუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას — ჩასუნთქვა (6-8-ჯერ თითოეულ მხარეს);

**ვარჯიში № 6.**

საწყისი მდგომარეობა — ბუქბჯენი.

1, 2 თვლაზე — წოლბჯენი. 3 თვლაზე— მარჯვენა ფეხის აქნევი. 4 თვლაზე — ფეხის დაშვებით წოლბჯენი. იგივე მოძრაობა მეორე ფეხით. სუნთქვა — ნებისმიერი (4-6-ჯერ).

**ვარჯიში № 7.**

საწყისი მდგომარეობა — ფეხშლით დგომი, დოინჯი. 1 თვლაზე — ფეხების შეერთებით წახტომი. 2 თვლაზე — ფეხების გაშლით წახტომი. სუნთქვა — ნებისმიერი (16-18-ჯერ).

**ვარჯიში № 8.** ადგილზე სიარული — 1-1,5 წუთის განმავლობაში, სუნთქვა — ნებისმიერი.

**შენიშვნები:** 1. დატვირთვის რეგულირება შესაძლებელია ვარჯიშთა რაოდენობისა და ტემპის გაზრდითა და შემცირებით;

2. მოცემულ ვარჯიშებს ასრულებენ როგორც გოგონები, ისე ვაჟები, იმ განსხვავებით, რომ გოგონებმა მე-6 ვარჯიშის შესრულებისას, წოლბჯენში ფეხის აქნევისას ხელები უნდა მოხარონ.

თორნიკე სანებლიძე

დილის ჰიგიენური ვარჯიში

## მოყვარულთათვის



ხედი ცხვირის მხრიდან






ხედი კიჩოს მხრიდან



* შპანშოუტი — გემის ქიმის სამოსის სიხისტის განივი ქიმის წიბო ფსკერსა და გემბანს შორის.





● თუ ოდნავ გაღუნულ საკანცელარიო სამაგრს წებოიან ტუბსა და მის ხუფს შორის ჩაამაგრებ, ყოველთვის შეგეძლება იგი ტუბის გაჭედილი ხვრელის გასაწმენდად გამოიყენო.

● ნუ იჩქარებ აეროზოლის დაცლილი ბალონის გადაგდებას: მისი საფრქვევი თავი რეზინის ბუშტაში ჩასვი და მშვენიერი პულვერიზატორი გექნება ხელთ.

● ზოგიერთი რანდის (შალაშინის) მჭრელ დანასა და კორპუსს შორის არსებული ღრეჩო ძალზე პატარაა და ხშირად იჭედება ხოლმე ბურბუშელით. თუ ღრეჩოს გაადიდებ (შვერილის ჩახერხვის გზით), შეგიძლია შეუფერხებლად განაგრძო მუშაობა, ღრეჩო ბურბუშელით აღარ ამოივსება.

● თუ ფეხსაცმლის პლასტმასის საკინძე „ელვა" მოგეშალა — თავისით იხსნება ხოლმე, თვითონვე შეგიძლია მისი შეკეთება: „ელვა" ბოლომდე ჩახსენი, კონგურები სარჩილავი ფლუსით (კოლოფონის სპირტხსნარით) დაასველე და გაშრობა აცალე (დაახლოებით ორი საათის განმავლობაში). საკინძე უნაკლოდ იმუშავებს.

● წიწკანებისათვის საკვებურას მოვალეობას მშვენივრად შეასრულებს ჩვეულებრივი კაპრონის ბადურა. შიგ ქონის, ძეხვის, ბოსტნეულის ნარჩენებ, ჩაყარე და ხეზე ჩამოკიდე. ჩიტები ბადეს ჩაებღაუჭებიან და ისე ისაუზმებენ, მიწაზე არაფერი დაუცვივათ.

● თუ ჭახრაკის სავალ ხრახნს კუთხვილი მოსწყდა, ნუ დაღონდები, მისი რემონტი ძნელი არ არის: მოხსენი მიმჭერი თეფში, კუთხვილს შესაბამისი ქანჩი მოარგე. სავალ ხრახნს მიახრახნე, მიმჭერი თეფში თავის ადგილას დააყენე და ხრახნის ბოლო დაამოქლონე. ჭახრაკი ძველებურად მოგემსახურება.















# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნ. ხარაზიშვილი — ჭირიცა და ლხინიც ერთი... (ნარკვევი) . . . . . . . გარეკ. 2
ე. მერაბიშვილი — შავი ერკემალი (მოთხრობა) . . . . 3
ზ. ჭუმბურიძე — დიდი მეცნიერი და მამულიშვილი (წერილი) 9
ვ. სივჩიკოვი — ცისფერი ტბების მხარე (წერილი) . . 11
ჩვენთან სტუმრადაა ბელორუსული საბავშვო ჟურნალი „ბიაროზკა" . . . . . . 12
ვ. გორგანელი — ჩვენი სკოლის დირექტორი (წერილი) . 16
ნ. ბეჟარაშვილი — ბოჩო (მოთხრობა) . . . . . 17
ა. ბეთანელი — ორბიტული სადგურები (წერილი) . . 20
გიორგი წერეთელი — 60 . . . . . . 23
ნ. ფავლენიშვილი — რომ სიხარული მოჰგვაროს (წერილი) 24
აისი . . . . . . . 25
კოცონი . . . . . . . 26
ვ. კანდელაკი — შაში საინტერესო თამაშია (წერილი) . 26
ა. ჩხარტიშვილი — კაცხის ტაძარი (წერილი) . . . 28
იუმორესკა . . . . . . 28
საინტერესო სიახლენი . . . . . . 28
თ. სანებლიძე — დილის ჰიგიენური ვარჯიში (წერილი) . 30
მოდელირების მოყვარულთათვის (წერილი) . 30
გამოგადგები . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . გარეკ. . 3


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.03.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.05.87 წ. ქაღალდის ფორმატი $60\times 9^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ 813. ტირაჟი 160000 ეგზ., უე 04448.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

**«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.**

**Выходит один раз в месяц на грузинском языке.**
**Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Формат $60\times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.**
**Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.**


© „პიონერი", 1987 წ.



## აბა, სცადეთ!

თარაზულ გრაფებში ჩაწერეთ 4 ცხოველის, 2 ფრინველისა და 1 მწერის სახელწოდებანი. ყოველი ტერმინი აუცილებლად უნდა შეიცავდეს რომელიმე სხვა არსების სახელსაც (მაგალითად, საკუთარ სახელში „ჭიამაია" შედის სახელი „ჭია").



თუ ტერმინებს სწორად შეარჩევთ, შვეულ გრაფაში მიიღებთ დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველის გვარს.

ზაზა ხუციანიძე, თბილისი, 161-ე საშ. სკოლა, IX კლასი.

## ლაბირინთი



რა გზით უნდა გამოვიდეს თევზი ლაბირინთიდან?

ნანა იოსელიანი

## შარადები

თუ გრამატიკა იცი —
მოზრდილი ხარ თუ ბავშვი—
მაიგივებელ კავშირს
მყისვე იპოვნი მაშინ.

და თუ იმ სიტყვას თავში
გზის სინონიმიც ახლავს,
მაშ, გიპოვნია იგი,
რაიც წინ გიდევს ახლა.

●

პირველი ბგერა ესესხე
დიდ გრძელნისკარტა
ფრინველს,
მას მიუწერე ერთ-ერთი
მუსიკალური ბგერა.
არა მგონია, საშველად
რომ დაუძახო ვინმეს —
შენ მხოლოდ ცენტრი
მონიშნე,
და აღმოაჩენ ხელად.

გონდო შამათავა

## გამოცანები

ათასობით შვილი,
ერთადერთი დედა
უკარებო სახლში,
სიბნელეში სხედან.
დედა არას საქმობს,
შრომობს ყველა შვილი,
მათი ნახელავი
ხალიჩაა რბილი —
მოქსოვილი კოხტად,
მზისფერ-ოქროსფერი,
იმას ეტანება,
ერია თუ ბერი.
არც ყაისნალი აქვთ
და არც წინდისჩხირი,
მათი იარაღი
პირია და ცხვირი.

ნ. მარიხია

●

თუ გინდა, ხვავი გემატოს,
კარგად გახსოვდეს მუდამ,
რომ ჩემდა გასამრავლებლად
მიწაში ჩამფლა უნდა.

●

გპასუხობს ყველა ენაზე,
უენო გახლავს თანაც,
ჰოდა, პასუხის მოძებნა
გაგიძნელდება განა?

●

ხიდია, ზედ ვერ გაივლი,
აიგო დარის მაცნედ,
მოქარგულია შვიდფერად...
პასუხს რომელი გასცემთ?

●

მხოლოდ სხვის სახეს უჩვენებს
საკუთარი კი არ აქვს,
თუმცა წინიდან კრიალებს,
ზურგიდან ბინდი ფარავს.

●

როგორიც არის ამჟამად —
ჭაბუკია თუ ხნიერი,
რა ხანიც უნდა გავიდეს,
უცვლელი რჩება იერი;
თუმც ყურებიც აქვს,
თვალებიც, —
არ ესმის, ვერცა ხედავს,
პირი აქვს — ვერ
ლაპარაკობს...
რა უნდა იყოს ნეტავ?

შ. ამირანაშვილი

●

ფერი — ნაზი, გამჭვირვალე,
ხმა — წკრიალა ზარისა,
მისგან ჭურჭელს ამზადებენ
ფორმით ათასნაირსა.

ჩუქურთმებით მოხატულა,
გვირისტებით ნაქარგი.
მოგხიბლავს და მიგიზიდავს —
რა კარგია, რა კარგი!

ალ. ნამორაძე

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### გამოცანები

ახალი წელი, მაგიდა, ხოხობი, ნოტები, მარტორქა, კლიტე, ანტენა, ნამგალი, ჩაქუჩი და ლურსმნები, ბალიში.

### მეტაგრამები

ნარი — ღარი — ზარი
წავი — კავი.

### კროსვორდი

პასუხი

შვეულად: 1. მარწყვი, 2. კვერცხი; 5. მთვარე; 6. წერილი; 10. ბაყაყი; 11. სიმინდი; 12. მდინარე; 13. ნისლი; 15. მელია.

თარაზულად: 3. ღამე; 4. ნავი; 7. ზვავი; 8. კრუხი; 9. ღრუბელი; 14. მაკრატელი; 16. ასანთი; 17. კვამლი.




# ცისფერი ტბების მხარე



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მშვიდობიანი ცა დაჰნათის ბრესტის გმირ ციხე-სიმაგრე



● რთული ამოცანა...



● პაპა ვიაჩესლავმა, დიდი ხანია, თავისი შვილიშვილები ხალხურ ხელოვნებას აზიარა

● მოაგიჯებს ბელორუსიის ხვალინდელი დღე

